კვირა 1917 წ. გიორგობისთვის 19 (2) № 256
წელიწადი მესამე

კვირა, 1917 წ. გიორგობისთვის 19 (2) № 256
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. **კონტორა ღიაა** დილის 9 საათიდან 3 საათამდე, და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ინგლისელებს იერუსალიმი აუღიათ.—პეტროგრადში რამდენიმე დიდი ქარხანა დაიკეტა.—ფინლიანდიაში სიმშილია.—უკრაინაში პოლონურ საქმეთა და საერთაშორისო მთავარმდივნები გადადგნენ.—იაპონია და ამერიკა საერთო საზღვაო მოქმედებისათვის შეთანხმდნენ.—ამიერ კავკასიის კომისარიატმა დეკლარაცია გამოსცა.—დღეს სახაზინო თეატრში ეროვნული კრება დაიწყობა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲒᲠ. ᲕᲔᲨᲐᲞᲔᲚᲘ. ეროვნული ყრილობის საქმე.
Რ. ᲘᲜᲒᲘᲚᲝ. ახალი ხანა.
ᲞᲠ.-ᲓᲝᲪ. ᲐᲚ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ქართული სწავლა-განათლება.

ᲓᲣᲢᲣ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ. 19 გიორგობისთვეს (ლექსი).

Მ. ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ. მოწინავე რაზმი. (გაგრძელება).
ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲚᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ. თეატრი და ხელოვნება.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ. ქუთაისიდან. ქართლიდან.

ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ.

მღვდელი ხარლამპი ნიკოლოზის ძე და ეკატერინე გიორგის ასული ხუციშვილები შვილებითურთ, პელაგია ნიკოლოზის ასული შვილებითურთ, თებრონია ნიკოლოზის ასული შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად მოკლას პირველთა—შვილის, მეორისა და მესამის ძმისწულის, კიევის საკომერციო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტის

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲞᲘᲡ ᲫᲘᲡ
ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲡ

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ს. ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა—სამშაბათს 21 ამა ნოემბერს. წირვა დაიწყება დილის 10 ს.
1—877—1

თ-დ. ალექსანდრე და მეუღლე მისი კნეინა ვერა ივანეს ასული მხეიძენი ულრმეს მადლობას სწირავენ მათ, ვინც პირადად და წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადეს ძვირფას და დაუვიწყარ მამის პოდპოლკოვნიკის

Თ-Დ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ
ᲛᲮᲔᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო.
1—876—1

წარმოდგენა № 10.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმართვ. წრე.

კვირას 19 ნოემბერს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება

ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲜᲘ

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ◆ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 25 კ-დე.
შემდეგი წარმოდგენა 25 ნოემბერს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს.
რეჟ. ქ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშ. ალ. ბადრიძე.
1—839—1 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 21-Ს, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ, ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲠᲘᲡ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

საგანი: ახალი საბჭოს არჩევა.

ეს კრება საბოლოოა, რადგან არც წინა კრება შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. გიმნაზია საშიშ რყევაშია ნივთიერის მხრივ და აუცილებელია ყველა [illegible] თან ახლდეს მას ამ განსაცდელის დროს.

საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბარნოვი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ორშაბათს 20 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ სტუდენტთა სამედიცინო წრე თავის საშუალებათა გასაძლიერებლად გამართავს საღამოს. წარმოდგენილი იქნება

Ნ. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ

I

ᲡᲣᲚᲔᲚᲘ

დრ. 3 მოქმ.

II

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲘ ᲮᲔᲘᲠᲘᲐ

ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქილარჯიშვილი მ., ქიქოძე ან., შოთაძე ა., იევრეილი ა., ჩერქეზიშვილი ელ., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: აბაშიძე ვას., გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარაღაშვილი ი., მატარაძე ვ., ქეიძე ს., შალიკაშვილი ფ., იორდანიშვილი გ., ცაციშვილი ხ.

წარმოდგენის შემდეგ გამართება ლოტო, „პტიშკო", ამერიკული აუქციონი, ყვავილები, ბუფეტი და სხ.

1—838—1 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნ-ე ქართული მსროლელი პოლკი აცხადებს, რომ პოლკს სჭირიან

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲑᲔᲚᲜᲘ

ვინც იკისრებს პურის გამოცხობას სახაზინო ფქვილიდგან პოლკის პურის საცხობში, მსურველებმა უნდა მოგვმართონ წერილობითი განცხადებით დაბეჭდილ კონვერტით, ამავე პოლკის სამეურნეო ნაწილის უფროსის სახელობაზედ. განცხადებაში უნდა იყოს ჩამოწერილი უკლებლივ პირობის ყველა მუხლები. პირობების გაგება შეიძლება პოლკის კვარტირმეისტერთან ყოველ დღე დილის 2 საათამდინ. განცხადების შემოტანის ვადა 12 საათ. 22 ნოემბერს 1917 წელს.

უფროსი სამეურნეო ნაწილისა, კაპიტანი **ᲨᲔᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ.**
ასმასრულებელი საქმის მწარმოებლისა **ᲤᲘᲓᲝᲠᲝᲕᲘ.**
1—874—1

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲝ, ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ აქციებზე ხელის მოწერა 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე მიიღება: ქუთაისში—ლ. ვ. კოკოჩაშვილთან, ბათუმში—მეაფთიაქე გ. პ. ნიკიტინთან, სოხუმში—მეაფთიაქე ნ. კ. უზნაძისთან, ბაქოში—მეაფთიაქე ა. ი. ალხაზაშვილთან, თბილისში—ამიერ-კავკასიის ბანკში.
2—879—1

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—34

ე ქ ი მ ი

Ა. Დ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და [illegible] (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეხაპვრება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 118.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა

ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲮᲝᲓᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ

გ ა ნ ა ა ხ ლ ა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღის ქუჩა, № 22.
25—823—22

ექიმის თანაშემწე

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეზხაპუნება. სისხლის ნაკლებობით, ნერვებით ავადმყოფნი, სიფილისიანნი და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
45—748—თ.

ე ქ ი მ ი

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუდოვიჩის ქუჩა № 41
ტელეფონი № 14—09

ე ქ ი მ ი

Გ. Მ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—20

Г. ГВАЗАВА

ГРУЗІЯ

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოიცა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.
10—8

ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

ამიერ კავკასიის ერებს, რომელთაც ას წელზე მეტია რუსეთთან ერთად უხდებოდათ სიარული და ბედის ჭედვა, დღეს პირველად უხდებათ საკუთარ ძალღონით გაუძლვენ ეკონომიურ თუ საზოგადოებრივ მოსალოდნელ კატასტროფის საშინელებას.

შესძლებს თუ არა ამიერ კავკასიის რევოლუციონური დემოკრატია შეინარჩუნოს რევოლუციის მიერ დაპყრობილი ყოველი ნაბიჯი ყოველგვარი განსაცდელისგან, ან მისცემს თუ არა მთელს ამ მხარეს რევოლუციონურ წესწყობილების უზრუნველყოფის გარანტიებს, რომ იმავე დროს ცენტრალ რუსეთზე მოახდინოს შესაფერი გავლენა დემოკრატიულს წრეებში სამოქალაქო ომის სალიკვიდაციოდ და ერთფეროვან, რევოლუციონურ, ყველას მიერ აღიარებულ რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის შესაქმნელად,—აი, ყველა ამ საკითხებისგან დამოკიდებულია ამიერ კავკასიის ერთა ბედი და მათი ნორმალური განვითარება.

ამიერ-კავკასიის ცხოვრების ამ გზით წარსამართებლად, ყველა სოციალისტურ პარტიებისა და რევოლუციონურ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ შედგენილია ამიერ-კავკასიის მთავრობა. მთავრობა იგი დროებით არის შედგენილი, ისიც მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. თუ რუსეთის სინამდვილე შექმნის ისეთს გარემოებას, რომ თავის დროზე შეუძლებელი იქნება მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, მაშინ მთავრობა იგი თავის თანამდებობას შეინარჩუნებს ამიერ-კავკასიისა და კავკასიის ფრონტის დამფუძნებელ კრების წევრთა სრულს ყრილობამდე.

ამიტომაც, როგორც დროებითი მთავრობა, იგი მიზნად ისახავს გადასჭრან მცხოვრებთა უსაჭირბოროტოეს საკითხები:

აწეწილ-დაწეწილ ფინანსების მოწესრიგება; ლაშქრისა და მცხოვრებთა ხსნა აუცილებელ შიმშილობისგან და მათი უზრუნველყოფა სურსათით; ტრანსპორტისა და გზების გაუმჯობესობა; სწორი და უვნებელი დემობილიზაცია ზავის შეკვრის დროს; საზოგადოებრივ წესრიგის დაცვა; სასტიკი კონტროლი წარმოებისა და შრომის განაწილების შესახებ; შრომისა და მუშათა კლასის ინტერესების ყოველგვარი დაცვა; დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ერობის შემოღება; დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ერობათა კომიტეტების ორგანიზაციათა შედგენა იქ, სადაც ჯერ არ დაუარსებიათ, მათ ხელში გარდაცემა საუფლისწულო, სახაზინო და საეკლესიო მიწებისა, აგრეთვე კერძო მსხვილ მემამულეთა მიწებისა, რომელთა შესახებაც ახლო მომავალში გამოიცემა, როგორც საკონფისკაციო, ისე ყველა მიწების მოწესრიგების აქტი, რომ ამით მოვემზადოთ დამფუძნებელი კრებისათვის მიწის მფლობელობის კანონის შესადგენად; დაუყოვნებლივ წოდებრივობათა უპირატესობის მოსპობა და ყველა იმ დაწესებულებათა გაუქმება, რომელნიც წოდებათა ინტერესების დასაცავად ჰქონდა დაარსებული; ჩვენს გარემო მცხოვრებ ხალხთა შორის კეთილ სინდისიერი დამოკიდებულება, თუ ისინიც სამართლიანად იცნობენ რევოლუციის მიერ მოპოებულს ყოველ გვარს ნაბიჯს.

ამიერ კავკასიის კომისარიატი მხარს უჭერს რუსეთის რევოლუციის მიერ აღიარებულ ხალხთა სრულ თვითგამორკვევის საჭიროებას და ეცდება ამიერ კავკასიაში ეროვნული საკითხი მოკლე ხანში სამართლიანად გადასჭრას.

ამიერ კავკასიის კომისარიატი საჭიროდ სცნობს სრულიად რუსეთის ფრონტის მთლიანობის დაცვას და ფრიად ენერგიულ ნაბიჯებს გადასდგამს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოსაგდებად; ამ მიმართულებით ამიერ-კავკასიის კომისარიატი ყოველ ნაბიჯს გადასდგამს კავკასიის მკვიდრ ერებთან თანხმობით, თანაც მხედველობაში ექნება დასავლეთის ფრონტის საერთო მდგომარეობა და ადგილობრივი ცხოვრების პირობები.

ყველა აქ ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრა იქნება საფუძველი და შინაარსი ახლად შემდგარ საოლქო მთავრობის მოქმედებისა.

ამ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება შეიძლება მხოლოდ ერთის პირობით: თუ ჯარმა და მცხოვრებლებმა,—მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა,—ენერგიულად დაუჭირეს მხარი ამიერ-კავკასიის რევოლუციონურ მთავრობის ყველა ღონისძიებას!

ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებანი და ბრძანებანი შეურყევლად უნდა სრულდებოდეს ადგილობრივ.

ამ მთავრობისადმი ყოველი ურჩობა ამიერ-კავკასიის ერთა არსებითი ინტერესების წინააღმდეგ ხელის აღმართვად ჩაითვლება და ისე ჩაითვლება როგორც ბოროტი სამოქალაქო და ეროვნებათა შორის განხეთქილებისკენ მიმართული მოქმედება, რის მოსასპობადაც ამ მთავრობის შემქნელი პარტიები და ორგანიზაციები ყოველ ზომებს არ დაერიდებიან.

ამ მძიმე ტვირთის აღებისათანავე ამიერ-კავკასიის კომისარიატი მიმართავს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რევოლუციისა და თავისუფლების ინტერესები, მჭიდროდ შეკავშირდნენ ამიერ-კავკასიის მთავრობის გარშემო და მხარდამხარ გაჰყვნენ მას რევოლუციონურ შემოქმედებითი მუშაობის გზაზე.

ამიერ-კავკასიის ერებო!
თქვენი ბედი თქვენსავე ხელშია.
დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ ამ დიადი მისიისა!

აღვმაღლდეთ ამ ისტორიულ მიზნებამდის და ცხადად ვაჩვენოთ მთელს ქვეყანას, თუ როგორ უნდა დიდი რევოლუციის მცნებათა მტკიცედ დაცვა და მათი ცხოვრებაში გატარება.

ხელი უწერიათ ამიერ-კავკასიის ყველა კომისრებს.

ეროვნული ყრილობის საქმე

დღეს სრულდება საქართველოს ეროვნული ცხოვრების ასწლოვანი, პეტროგრადის წრე და დღესვე იწყება ქართველი ერის ახალი პოლიტიკური ისტორია.

რევოლუციის რვა თვემ ისე დაგვღალა, რომ სიტყვები და გრძნობები აღარ გვეყოფნის იმ კრებულის სალმისათვის, რომელიც კიდევ ერთხელ არღვევს ეროვნებათა სიკვდილისთვის დაწესებულ ასწლოვან ხანგრძლივობას, „დავინისტს".

ეროვნული ყრილობის მიზანი ახალი საქართველოს პოლიტიკური შენობის საძირკვლის ჩაყრა არის. ამისათვის დეკლარაციები კი არა, მოქმედებაა საჭირო.

ეროვნულ ყრილობას ორი საქმე აქვს გასარკვევი: ერთი საქმე თავად-აზნაურობის საერთო, კოლექტიური ქონების პატრონობაა. ეროვნული ყრილობა ხომ ის „საბჭო" არის, რომელმაც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა დეკლარაციის ძალით გადმოცემული ქონება უნდა ჩაიბაროს და ამ ქონების საპატრონოდ აღმასრულებელი გამგეობა უნდა აირჩიოს.

დეკლარაციის ის მუხლი, რომელიც თვით „საბჭოს" ანდობს რეგლამენტისა, შტატების და ბიუჯეტის შედგენას, პირდაპირი თავმდები იყო საბჭოს ეროვნულ პოლიტიკურ თვით-გამორკვევისა.

მაგრამ თვით ცხოვრებამ დააჩქარა ეს საქმე და ინტერპარტიულმა საბჭომ, ნოე ჟორდანიას წინადადებით, დაადგინა დღევანდელი კრება, როგორც პოლიტიკური საკითხის გარკვევა, ისე ინტერპარტიული საბჭოს მემკვიდრე ეროვნულ ორგანოს შედგენა.

ეროვნული ყრილობის საზრუნავი სწორედ ამ ახალი ეროვნული საბჭოს შედგენა არის.

უდროვო იქნებოდა, რომ ეხლავე გამოგვერკვია ამ ორგანოს იურიდიული და ტერიტორიული ძალა-უფლება. ზოგი პარტია ქართულ რესპუბლიკის მთავრობას მოისურვებდა, ზოგი კიდევ პედაგოგიური საქმით დაკმაყოფილდებოდა.

ამიტომ მთელი სიმძიმე ამ საკითხისა სულ სხვა მხარეზე უნდა გადავხაროთ თვით საბჭოს შედგენის წესისაკენ.

ეროვნულმა ყრილობამ საბჭო ისე უნდა შეადგინოს, რომ თუ გარემოებათა მიხედვით მისი საჯარო უფლებრივი თვით გამორკვევა შეუძლებელი გახდა ამ აქტისათვის საბჭოს საკმაო ეროვნულ პოლიტიკური ავტორიტეტი ჰქონდეს თანასწორი როგორც შინ, საქართველოში, ისე გარედ, მისი საზღვრების იქით...

სწორედ ეს პოლიტიკური ავტორიტეტი იყო, რომ აკლდა დღემდის არსებულ ინტერპარტიულ საბჭოს, რომელიც პარტიების თანაბარი წარმომადგენლობით იყო შედგენილი, და რომელიც მხოლოდ მაშინ აბიჯებდა წინ, როცა ყველა პარტიები შეთანხმდებოდნენ ხოლმე. ეს არც ისეთი იოლი ხილი გახლდათ და ამიტომ ინტერპარტიულ საბჭოს კინაღამ ინტერნაციონალის ბედი ეწვია, და უმრავლესობის მეთაურმა პარტიამ კინაღამ დასტოვა „ურჯულო" პარტიათა საკრებულო.

ასეთივე ბედი ეწვევა ახალს ეროვნულ საბჭოს, თუ იგი პირდაპირ დღევანდელი ყრილობის წიაღ იქმნა არჩეული... ამ ყრილობის არადემოკრატიულად შედგენილობაც ხომ არ გაუქარდება „მართლმადიდებელ" პარტიას.

ერთად-ერთი თავდები ლონიერი და მთლიანი საბჭოს შედგენისა ეს პროპორციის წესია, იმ პროპორციის, რომელიც შეეფერება საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა ძალთა განწყობილებას.

დღეს მთელ საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნებია.

მართალია, ახლანდელი არჩევნების შედეგი ზუსტად ცალმხრივია, ერთი იმიტომ, რომ ქართველობა მაინცა და მაინც არ იღებდა თავს „რუსეთის" დამფუძნებელ კრებისათვის, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ზოგიერთ პარტიას მრავალი ფუჭი ხმა მიუვიდა, ზოგს კონფედერალისტიური ბლოკით, ზოგს კიდევ ინტერნაციონალობით...

ისიც მართალია, რომ სულ სხვა შედეგი მოჰყვებოდა არჩევნებს, მათი მიზანი რომ საქართველოს საკანონმდებლო, დამფუძნებელ კრების შედგენა ყოფილიყო, მაგრამ ნუ შევუშინდებით ამას... დღეს სხვა საზომი პროპორციისა არ არის და ამას უნდა დავეყრდნოთ, თუ ლონიერი ეროვნული საბჭო გვწადია...

ნურც იმის გვეშინია, რომ პროპორციული წესი ერთად-ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელში ჩააგდებს მთელ საბჭოს: ამისათვის ამ პარტიას არც საკმაო ძალები ჰყავს და მას იმდენი პოლიტიკური სიმწიფეც აქვს, რომ ასეთი გამოცდა არ მოახდინოს საქართველოში. ერთგვარ პროპორციული წესით შედგენილი საბჭო აუცილებელი ეტაპია ინტერპარტიულ საბჭოს განვითარებისა, აუცილებელია იმიტომ, რომ ამას მოითხოვს დაბოლოს თვით უმრავლესობის პარტია.

საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ როდის უნდა შევადგინოთ ასეთი პროპორციული საბჭო: ახლავე, საქართველოში მომხდარ არჩევნების მიხედვით თუ შემდეგ, როცა არჩევნები მთელ ამიერ-კავკასიის ოლქში იქნება დასრულებული.

ამაზე ზეგ.

გრ. ვეშაპელი.

ახალი ხანა

117 წლიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოში შესწყდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება: მიუხედავათ იმისა, რომ 1783 წლის ტრაქტატის მე-12 არტიკულში გარკვეულად აღნიშნულია ორივე შეთანხმებულ სახელმწიფოთა უფლებანი და ნათქვამია, რომ ხელშეკრულობაში ყოველგვარი ცვლილების მოხდენა შესაძლებელია მხოლოდ ორივე სახელმწიფოს სურვილების თანახმად, 1801 წ. 12 ენკენისთვის თარიღით რუსეთის თვითმპყრობელმა გამოაქვეყნა ყოვლად უსამართლო და კანონის შემლახველი მანიფესტი, რომლის ძალითაც საქართველოს წაერთვა სუვერენული უფლებანი...

დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც საკუთარი ნებით-ყოფით აღიარა რუსეთის პროტექტორატი, გამოცხადებულ იქმნა უბრალო პროვინციად.

ამ აქტის შედეგების აღნიშვნა არ არის საჭირო, რადგანაც ეს იქნებოდა განცხოველება ქართველი ერის განუწყვეტელი მარტიროლოგისა! ველურ ხალხთა თავ-მოყვარეობასაც კი არ ეპყრობიან ისე ტლანქად და ბარბაროსულად, როგორაც რუსეთმა გამოიჩინა საქართველოს მიმართ! თვითმპყრობელ რუსეთის ყოველ აქტში ქართველი ხალხის უფლება და ღირსება ილახებოდა! რუსიფიკატორ ბიუროკრატების პოლიტიკამ და ყოველდღიური მოქმედებამ შერყვნა ჩვენი ხალხის თვისებანი, უკიდურესობამდე დაქვეითა ქართული ენა და შეუსაბამო მიმართულება მისცა საზოგადოდ ჩვენს ნაციონალურ კულტურას.

დღეს ის დიდი იმპერია, რომელიც ჰმონობდა მრავალ ერებს და სწორწარზიდულად აშენებდა ზოოლოგიური პატრიოტიზმის დანერგვას, სასიკვდილოდ დაჭრილი სულსა ლევს! შემოხიზნულ მტრის თვალ წინ რუსის ხალხი ახდენს სამოქალაქო ომს და უფსკრულში აგდებს ისედაც უკიდურესობამდე მიყვანილ სახელმწიფოს. უზარმაზარი იმპერია ირღვევა და ნაწილდება! ხელოვნურად შეერთებული კუთხეები და ურიცხვი პატარა სახელმწიფონი ეცლება ცენტრს. ის, რაც შიშის ზარს სცემდა ყველას, ამ ჟამად უძლურად განიხრწნა! „ყოფილი რუსეთი"—აი სათაური, თვალსაჩინო რუს პუბლიცისტების წერილებისა შესახებ არსებულ პოლიტიკურ ვითარებისა...

სახელმწიფოს კრიზისმა აიძულა ქართველი ხალხი ეზრუნა თავის დაცვაზე. რუსეთის დემოკრატიის დეკრეტები ეროვნულ თვითგამორკვევის შესახებ, თუმცაღა მას აღასრულებდეს ლენინ-ტროცკების „კაბინეტი", ვერ დაგვაკმაყოფილებს, ვინაიდან გარემოება გვარწმუნებს, რომ ქართველობისათვის დღეს-დღეობით არავის ეცლება და, თუ როგორმე მოგვიგონონ, მეტად დაგვიანებული იქნება, იმდენად მწვავეა საერთაშორისო განწყობილება.

დღევანდელი აქტი სამართლიანად ჩაითვლება პირველხარისხოვან მოვლენად ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულია, ხოლო შედეგები მეტად სახეირო ჩვენი ერის სამკვიდრებლის ზრდისა და განვითარებისათვის. საქართველოს ეროვნულ კრების უპირველეს დანიშნულებას, ეჭვს გარეშეა, უნდა შეადგენდეს შექმნა პირობებისა, რომელიც ერს პოლიტიკურად ჩამოაყალიბებს და მისცემს შეძლებას დაეყრდნოს საკუთარ კანონმდებლობაზე. თვითმართველობის დამყარებას ამ ჟამად მაინც არაფერი უნდა აფერხებდეს: პოლიტიკური დაბრკოლებანი ხალხთა აჯანყების მეოხებით გადავლახეთ, ხოლო რაც შეეხება სხვა გარემოებებს, გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ძნელად მოიპოვება ეთნიური ელემენტი იყოს უკეთეს ტერიტორიალურ, გეოგრაფიულ, უფლებრივ პირობებში მყოფი, როგორც ბედმა არგუნა ქართველ ხალხს.

გვაკლდა მხოლოდ ეროვნული განცდა, ის ფსიხოლოგიური მომენტი, რომელმაც უნდა ამეტყველოს მთელი ხალხი და აგრძნობინოს მას ერის აღორძინების პირობების შექმნა.

დღეს შეკრებილი ყრილობა დაუმტკიცებს თვით ურწმუნოთაც, რომ ქართველობამ განვლო რყევის ჟამი და საქვეყნოდ აღიარა სამშობლოს დაცვის საჭიროება.

ამაღლებული წუთებია! აღსდგა ერი, 117 წელს, რომ შებოჭილი იყო მონური ბორკილებით! ერის ზრახვათა განხორციელებაა! მამაპათა ნატვრის აღსრულებაა! რუბიკონი გადალახა: ერი იწყებს ახალ ცხოვრებას! იგი ევლინება კაცობრიობას—სრულ უფლებიანი, თანაბარი...

რ. ინგილო.

ქართული სწავლა-განათლება

II

სხვა საკითხთა შორის ეროვნული სწავლა-განათლების საკითხიც ეხლავე უნდა იყოს დაყენებული იმ საკითხთა რიგში, რომელნიც ქართველი ერის წარმომადგენლებმა ამ მოკლე ხანში უნდა გადასწყვიტონ.

ამიტომ მინდა შევაჩერო ჩვენი საზოგადოების ყურადღება ამ საკითხზე. დღეს მე აღვნიშნავ იმ თვალთაზრისს, რომლითაც უნდა მივუდგეთ ქართული სწავლა-განათლების დამყარებას თავისუფალ საქართველოში.

თუ როგორ მდგომარეობდა ჩვენი სწავლა-განათლების საკითხი, ეს ყველამ იცის. აქამომდე ზოგიერთი ჩვენი საკულტურო დაწესებულებანი და კერძო პირნი, თავიანთი შეძლების დაგვარად, ამ დიად ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ. მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა ქართული სწავლა-განათლებისა ჩვენ ვეღარ დაგვაკმაყოფილებს, ეხლა სხვა საზომია მისაღები მხედველობაში, როცა გვინდა დავამყაროთ ეროვნული სწავლა-განათლება თავისუფალ საქართველოში. რა არ გვაკმაყოფილებს წარსულიდან ამ სფეროში? უმთავრესად ის, რომ ქართული სწავლა-განათლება მოკლებული იყო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და მის მტერთაგან დევნილი არა ლეგალურ პირობებში ირჩენდა თავს, ესე იგი, იგი არ შეადგენდა სახელმწიფოს საზრუნავს საგანს და ამიტომ იყო დარჩენილი მხოლოდ მოხალისეთა ანაბარად და მძიმე ტვირთად. ასეთს გარემოებაში, რასაკვირველია, ქართულ სწავლა-განათლებაში ვერც შეიქმნოდა რაიმე სისტემა; ვერ გამოირკვეოდა მისი ბუნებრივი განვითარების სახე, მისი მსვლელობა მიბაძველობის გზას დაადგებოდა და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა მის არსებობას, რადგან ერის საერთო ზრუნვას და აზრს მოკლებული იგი ეყრდნობოდა საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთთა ჯგუფების და პირების თანაგრძნობაზე. ერის გამუდმებული გონებრივი მზრუნველობა და ღვთიური მადლი ჩვენ ეროვნულ სწავლა-განათლებას არ უგრძვნია აქამომდინ.

უზომო თავისი შინაარსით, ძლიერი თავისი გავლენით, მრავალფეროვანი თავისი გამოხატულებით სწავლა-განათლება დაწინაურებულ ერთა, რას წარმოადგენს საქართველოში? სად არის ჩვენში სავალდებულო პირველდაწყებითი საერო სწავლა-განათლება, რომელიც კაცის ღირსებულობას და, მაშასადამე, მთელი ერისასაც მაღლა და მაღლა სწევს? რომელი საშუალო სასწავლებელი უკლავს ყმაწვილ კაცს ცნობის-მოყვარეობის წყურვილს და რომელი უღვიძებს ჩვენს ყმაწვილკაცობას ჭკუა-მახვილობას და გონებრივ და სულიერ გამბედაობას და ეროვნულ სითამამეს? რომელ მეცნიერების ტაძარში ეწაფებიან ჩვენი ყმაწვილები ადამიანთა უმაღლეს ცოდნას და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ იდეალებს თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ? სად ესხნება გონება და გრძნობა, სად ილესება მახვილი გონება და ღვივდება კეთილშობილი გრძნობები ჩვენი ბავშვებისა? სად ვუღვივებთ ცნობისმოყვარეობას და ვაგემებთ ცოდნის ღვთიურ ძალას და საიდუმლო სიტკბოებას, სად გავუთბობთ ნატკენ გულს ჩვენს საწყალ მუშა-ხალხს? საიდან მოელის ჩვენი მიწას მუშა, ხელოსანი, შინათ-მრეწველი, ვაჭარი და მექარხნე ცოდნით აღჭურვილს და მომზადებულ მუშაკს? კიდევ ბევრი „საიდან" და „სად" არის სათქმელი, მაგრამ კმარა!

მაშასადამე, რაში მდგომარეობს ჩვენი სწავლა-განათლების დღევანდელი უკუღმართობა? იმაში, რომ ეს მხარე ეროვნულ საჭიროებათა არ იყო ქცეული სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საგნათ, მას არ შესწევდა ძალა თავისი განხორციელებისათვის და განვითარებისათვის შეექმნა რაიმე სისტემა (გეგმა) და ეროვნულ მოთხოვნილებათა შეუთანხმებელი და უსარგებლო გაყინულს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვინც იზიარებს ამ აზრს, მოვალეა ჩემთან ერთად ხმა მაღლა აღიაროს, რომ ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენი სწავლა-განათლების ამნაირი მდგომარეობა. მაშ რა უნდა ვქნათ? პირველი ის, რომ სწავლა-განათლება უნდა ეხლავე წამოვაყენოთ მთელი ქართველი ერის საზრუნავ საგანთა რიგში, მივუჩინოთ მას მთელი ერის წინაშე პასუხისმგებელი დაწესებულება, რომელიც შეიმუშავებს და შექმნის სწავლა-განათლების სისტემას, დაამყარებს მას მკვიდრს ნიადაგზე და გაუხსნის მას ფართო გზას განვითარებისათვის. ეს სწავლა-განათლება უნდა იყოს შეთანხმებული ჩვენს ეროვნულ ცხოვრებასთან და აკმაყოფილებდეს საქართველოს ყოველგვარს გონებრივ და სულიერ მოთხოვნილებებს.

რადგან ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე უნდა ემყარებოდეს ქართველი ერის ყოველ ცოცხალ ძალაზე, მასში ჰპოვებდეს თავის განვითარების თავდებს, ამიტომ საჭიროა, რომ ეს საკითხი დამუშავდეს და გამოირკვეს არა კაბინეტურად ამა თუ იმ პირის ან ჯგუფის გემოვნების მიხედვით, არამედ საჯაროთ, ესე იგი, ყრილობის მოწვევის შემწეობით.

პროფ.-დოც. ალ. ჯავახიშვილი.

ომი და ზავი

აღმოსავლეთის ფრონტის შესუსტება

ავსტრიელ და გერმანელთა ჯარების სიტყვით რუსეთის ფრონტიდან იტალიისაკენ გერმანელებს რჩეული ჯარი გადაუყვანიათ. მათი რიცხვი აღის 121 დივიზია ანუ 1,423,000 კაცამდე. რუსეთის ფრონტზე თითო დივიზიაში 900 კაცი დაუტოვებიათ.

სიმშილი ფრონტზე

ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი გიორგობისთვის 9-ის თარიღით იტყობინება: დაგვიანება აღარ შეიძლება. სიმშილით ნუ ამოჰხოცავთ ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს. ჩრდილოეთის ფრონტის ლაშქარს რამდენიმე დღეა უკვე რაც ერთი ნატეხი პური არ მოეპოვება. ორ-სამ დღის შემდეგ აღარც ორცხობილა ექნება. მახლობელი დვინის სამხედრო ოლქი დახმარებას ვერ გვიწევს. ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ას ვაგონის მაგიერ სულ რაღაც 20 ვაგონი მივიღეთ.

პურით დახმარება ფრონტს

ხარკოვის სასურსათო გამგეობას გიორგობისთვის 9-ში ჩრდილოეთის ფრონტისაკენ 25 ვაგონი ფქვილი გაუგზავნია. ამავე გამგეობამ დასავლეთის სამხრეთ დასავლეთის ფრონტს 8 ვაგონი ბურღული მიაშველა.

დასავლეთის ფრონტი

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. გიორგობისთვის 7. ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების ფრონტზე მდგომარეობა ოფიციალ ცნობების მიხედვით არ შეცვლილა. გერმანელების თავდასხმას ფრანგ-ინგლისელების თავდასხმას სცვლის. ალაგ-ალაგ ზარბაზნების სროლა.

დიდი ბრძოლის სამზადისში.

ამას წინად მოკავშირეების რუსეთის წარმომადგენლის დაუსწრებლად სამხედრო თათბირი ჰქონდათ გამართული, რომელზედაც შეიმუშავეს საერთო გეგმა სამხედრო მოქმედებისა. მოკლე ხანში ინგლის-საფრანგეთ-იტალიის შეერთებული ლაშქარი დიდ შეტევას დაიწყებს.

ბრძოლა იერუსალიმთან.

ინგლისის ოფიციალი იტყობინება, რომ ინგლისის ცხენოსანი ჯარი ქ. იერუსალიმის ჩრდილო დასავლეთიდან უვლის და უკვე 12 მილით დაუახლოვდა, ხოლო ქვეითა ჯარმა კი აიღო იუდეის ზეგანი და იერუსალიმიდან მხოლოდ 15 მილითაა დაშორებული. უკანასკნელი ცნობებით იერუსალიმი აუღიათ კიდეც ინგლისელებს, მაგრამ ეს ცნობა დადასტურებული არ არის.

გერმანელთა შტაბის ცნობა

(გიორგობისთვის 6)

დასავლეთის ფრონტი

საარტილერიო ბრძოლა შუადღისას მისწყდა. შუადღის შემდეგ ბეკელერესთან საარტილერიო ბრძოლა მეტად გაძლიერდა. დანარჩენ ფრონტზე დღემ წყნარად ჩაიარა. ალაგ-ალაგ პატარა-პატარა შეტაკება ხდებოდა.

მაკედონიის ფრონტი

გიორგობისთვის 6-ის განმავლობაში დიდმნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედება არ ყოფილა.

იტალიის ფრონტი

ასიაგოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა უმნიშვნელო იერიშები გაიმეორა. ბრენტისა და პიავეს შუა მოკავშირე ჯარებს ახალი გამარჯვება ხვდათ. მტერს ახალ-ახალი ძალები ემატება, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ გვიწევენ. გუერო და მონტე-კარპელლა იერიშით ავიღეთ. ამ იერიშში მეტი სიმამაცე ბოსნია ჰერცეგოვინის მე-2-ე პოლკმა გამოიჩინა. ტყვედ 100 კაცი წამოიყვანეს. პიავეს ქვემო ნაწილთან დრო-გამოშვებით დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

კორნილოვის საქმე

სამხედრო-საზღვაო მთავარ ბრალმდებლის განკარგულებით, დროებით შეჩერებულია კორნილოვის საქმის გამოძიება. ბრალმდებელი აცხადებს, რომ მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება კერენსკისა კორნილოვის საქმის შესახებ,—რომელიც კერენსკის კანცელარიაში ინახებოდა—მთლად მოუპარიათ. სახალხო კომისრების განკარგულებით გაათავისუფლეს ყარაულები იმ სახლთან, რომელშიაც დაპატიმრებულნი არიან კორნილოვი, დენიკინი და სხვანი.

უპურობა

რკინის გზით გადატან-გადმოტანის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს: პეტროგრადის მცხოვრებლებს, რომ ნახევარ-ნახევარი გირვანქა პური დაურიგოთ დღიურად, საჭიროა 28 ვაგონი პური. ღვინობისთვის 30-ს კი მხოლოდ 15 ვაგონი მივიღეთ. 31—3-ი ვაგონი, გიორგობისთვის 1-ს—5, 21-ს—7 ვაგონი. უპურობის გამო სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა დაადგინა მცხოვრებლებს კართოფილი დაურიგონ. მუშებს პური მიეცემათ.

სამხედრო-სარევოლუციო სასამართლო

იუსტიციის სამინისტროს კომისრის განკარგულებით და სამხედრო კომისრის კრილენკოს თანხმობით, მოქმედება დაიწყო სამხედრო-სარევოლუციო სასამართლომ. სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოში შედიან: ორი წარმომადგენელი [illegible] და ორიც მუშების. თავმჯდომარედ უმაღლეს იურიდიულ განათლებით აღჭურვილი პირია. პირველად სამხედრო-სარევოლუციო სასამართლო პურიშკევიჩის საქმეს განიხილავს.

მოსკოვში

ბოლშევიკურ ჯარის ჩამოსვლა

პეტროგრადიდან მოსკოვში ჩასულა 1000-ზე მეტი ვინტოვკებითა და რევოლვერებით შეიარაღებული მეზღვაური და წითელ გვარდიელი. მათ თან ჩამოუტანიათ ტყვიის მფრქვეველები და ნაღმის მტყორცნელები, ჩამოვიდა აგრეთვე ერთი ჯავშნიანი მატარებელი, ჯავშნიანი ავტომობილებით.

კრემლი.

გიორგობისთვის 10-ს „რუსკ. სლოვო" გადმოგვცემს: კრემლის შესავალი ჯერაც დაკეტილია. ნიკოლსკის ალაყაფიდან სჩანს, რომ კრემლის მოედანზე ფაციფუცით აგროვებენ იარაღს. ალაყაფის კარებთან. შიგნიდან ისევ ტყვიისმტყორცნელები სდგას.

პროვინციაში

თათრების დარბევის მოლოდინში

იალტაში ხმები გავრცელდა, რომ თათრებისა და კაპიტალისტების დარბევა მოხდებაო. დროებითმა რევოლუციურმა და მაჰმადიანთა კომიტეტებმა მოწოდებით მიჰმართეს მცხოვრებლებს—ნუ რას გჯერათ რა პროვოკაციისა, მას მიზნად მცხოვრებთა შორის უთანხმოების ჩამოგდება და დამფუძნებელ კრების არჩევნების ჩაშლა აქვსო.

სევასტოპოლში

ამ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში სრული სიმშვიდეა. ბოლშევიკურ მოძრაობას დემოკრატიული მასსა მხარს არ უჭერს. მთავრობა საბჭოს ხელშია. [illegible] არ არის. გუშინ [illegible] ზოგიერთ გემებზე დიდის ამბით აფრიალდეს უკრაინული დროშები.

მორშანსკი ამბოხების მოლოდინში

გიორგობისთვის 17-ს ქალაქ მორშანსკში ამბოხებას ელოდნენ. დახშული იყო ყველა ბანკები (ამასთან სახელმწიფოც) და მაღაზიები. დაითხოვეს ყველა მოწაფენი. მოელიან პოლკების დემონსტრაციას. ყველგან ნერვიული მდგომარეობაა.

მდგომარეობა მინსკში

მინსკში სიწყნარეა. დეპუტატთა საბჭომ ფრონტიდან ტყვიისმფრქვეველები გამოიწვია, მაგრამ ვერც ესენი და ვერც ზარბაზნები ვერ გამოიყენა. სალაშქრო კომიტეტებში დიდი შეხლა-შემოხლაა.

ყაზახები სმოლენსკთან

სამი დღის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული სმოლენსკის მეციხოვნე ჯარსა და ყაზახებს შორის. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს მძიმე არტილერიაც.

ორენბურგის ბოლშევიკები

ორენბურგის ბოლშევიკებმა თავის რეზოლუციაში გაჰკიცხეს პეტროგრადელ ბოლშევიკების მოქმედება.

ეროვნული საკითხი

უკრაინა და რუსეთი

უკრაინის უნივერსალი

უკრაინელებო! ყველა ხალხო უკრაინისაო! ძალიან მძიმე დღე დაუდგა რუსეთის რესპუბლიკას. ჩრდილოეთით სატახტო ქალაქებში სამოქალაქო ომი და სისხლისღვრაა გამართული. ცენტრალური მთავრობა მოისპო. მთელ სახელმწიფოში ძლიერდება არეულობა, უწესრიგობა და ანარქია. ჩვენ სამშობლოსაც მოელის ხიფათი. იმის გარემოება, რომ მთავრობა არა გვყავს, უკრაინას სამოქალაქო ომის უფსკრულში გადასჩეხავს. ჩვენ, უკრაინის რადის, უკრაინაში წესრიგის დასაცველად და მთელი რუსეთის გადასარჩენად, დღეიდან ვაცხადებთ, რომ უკრაინა დღეიდან იქნება უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც არ ჩამოშორდება რუსეთს და მჭიდროდ იქნება მასთან შეკავშირებული. მტკიცედ დავდგებით ჩვენ მიწა-წყალზე, რათა ჩვენი ძალებით დავეხმაროთ რუსეთს, რომ მთელი რუსეთი სხვა და სხვა დევნილ ერების ფედერაციად გადაიქცეს. უკრაინის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ჩვენს მიწა-წყალზე წესიერების შექმნის, კანონების გამოცემის და მართვა-გამგეობის უფლება გვეკუთვნის ჩვენ, უკრაინის ცენტრალ რადას, ჩვენ მთავრობას,—გენერალურ სეკრეტარიატს, რომელიც იგრძნობს საკუთარ ძალას სამშობლო მიწაზე და დაიცავს დარღვეულ უფლებას და რევოლუციას, როგორც ჩვენში ისე მთელს რუსეთში. ამიტომ ვაცხადებთ: უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში შედის უმეტესად უკრაინელებით დასახლებული ოლქები: კიევშჩინა, პოდოლია, ვოლინი, ჩერნიგოვშჩინა, პოლტავშჩინა, ხარკოვშჩინა, ეკატერინოსლავშჩინა, ხერსონშჩინა, ტავრია (უყრიმოდ). უკრაინის რესპუბლიკის საზღვრები საბოლოოდ დაკანონდება ერებთან შეთანხმებით და ამავე გზით გადაწყდება კურსკის, ვორონეჟის, ხოლმის და აგრეთვე სხვა მეზობელ გუბერნიების უმეტესად უკრაინელებით დასახლებულ ოლქების საკითხი.

მთავარ მდივნების გადადგომა

რაკი რადამ უნივერსალი იმ რედაქციით მიიღო, რომელსაც ზოგიერთი პოლონური წრეები არ იზიარებენ, ამიტომ პოლონურ საქმეთა მთავარი მდივანი მიცკევიჩი გადადგა. აგრეთვე საეროვნებათაშორისო საქმეთა მთავარი მდივანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ფედერალისტი ალ. შულგინი. გადადგომის მიზეზი: უკრაინის რესპუბლიკის გამოცხადება.

ეკონომიური ცხოვრება

18 მილიონი ფუთი პური

მინსკის მხარეში ამ ჟამად გაჩერებული ყოფილა 18 მილიონი ფუთი პური. აქ ახალი გზა კეთდება და ლიანდაგის უქონლობის გამო ვერ გაგზავნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონელი და ერბო

პურის გარდა მინუსინის მხარეში აუარებელი საქონელი და ერბო ჰქონიათ დაგროვილი, მაგრამ ლიანდაგის უქონლობის გამო მოუხმარებელი რჩება.

რუსეთი და უცხოეთი

საფრანგეთის სამინისტროს გამოცვლა

პენლევეს სამინისტრო გიორგობისთვის პირველს გადააყენეს. გადაყენება მოხდა იმ გამოურკვეველ ვოტუმის შემდეგ, რომელმაც პალატის უკიდურესი ფრთები შეაერთა. ომის დაწყების შემდეგ ეს პირველი სამინისტროა, რომელიც გადააყენეს. სხვა ყველა სამინისტროები თავის-თავად გადადგებოდნენ ხოლმე. პოლიტიკური მდგომარეობა მეტად არეულ-დარეულია. ვოტუმმა არ მისცა არავითარი ჩვენება შემდეგ ორიენტაციისათვის: არ აღნიშნა არც პირები და არც ხელმძღვანელი იდეები. პენლევეს უსაყვედურებდნენ: შენს მოქმედებას გაურკვევლობის ბეჭედი აზისო. საზოგადოებრივი აზრი ენერგიან პრემიერს თხოულობს. მას სურს, რომ პრემიერი მძლავრ იმპულსს იძლეოდეს სამხედრო მიზნების მისაღწევად, მისგან მოითხოვენ, რომ მოკავშირეებთან ერთად განახორციელოს საერთო სტრატეგიული მიზნები, დასასრულ მისგან მოითხოვენ შინაურ მტერთან ბრძოლას და რესპუბლიკის დაცვას მათგან, რომელნიც თუმც ჰკიცხავენ მოღალატეთ, მაგრამ იმავე დროს სურთ რეჟიმის ნდობის დაკარგვა.

ტყვე გერმანელთა შეთქმულება

ციმბირში აღმოაჩინეს ტყვე-გერმანელთა დიდი შეთქმულება. ციმბირის რკინისგზის გაყოლებით არსებულ ყველა ბანაკებში ტყვე გერმანელებს ფართო ორგანიზაცია მოუწყვიათ. გერმანელებს შეუდგენიათ ცალკ-ცალკე კორპუსები, აურჩევიათ უფროსები და შტაბი. შეთქმულებს შეუქმნიათ საკუთარი საინტენდანტო და უკვე შესდგომიან სურსათის დამზადებას. შტაბს უკვე შეუმუშავებული ჰქონია იარაღის ხელში ჩასაგდებ[ად] სრული გეგმა. შეთქმულების ყველა მეთაური—ოფიცრები უკვე დაუპატიმრებიათ.

ცარცვა-გლეჯა ხარბინში

იაპონური გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ, იმ გარემოებას, რომ ხარბინში თავი იჩინა ცარცვა-გლეჯამ და ყაჩაღობამ. ზარალდებიან იაპონელებიც. მცხოვრებთა ქონება სრულებით არაა უზრუნველყოფილი. მცველები არ არიან. მილიცია საკმაო არ არის.

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან. ტელეფონი იგივეა 15—73.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ეროვნული ყრილობის წეს რიგი.** 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი (მოხსენება ნოე ჟორდანიასი); 2) თავად-აზნაურობის კოლექტიური ქონების ჩაბარება და მოვლა-პატრონობა (მოხსენება კ. ნ. აფხაზისა); 3) სექციების შედგენის საკითხი და 4) ეროვნული საბჭოს არჩევა.

◆ **ქართულ ეროვნულ კრებაზე** მონაწილეობის მისაღებად: წერა-კითხვის საზოგადოებამ აირჩია გ. ნ. ყაზბეგი და დ. კარიჭაშვილი, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირმა—ი. ვართაგავა, თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირმა—ს. გორგაძე, ლ. ჩიმაკაძე და ბ-ნი წირქვაძე, ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ—ს. ყაზახაშვილი.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა** საზოგადოებამ 17 ნოემბრის მორიგ კრებაზე წარმომადგენლად საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ამოირჩია პრივატ-დოცენტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი.

◆ **ქართველ მწერალთა კავშირის** საბჭომ ქართულ ეროვნულ კრებაზე დასასწრებად 19 გიორგობისთვეს აირჩია გრიგოლ რობაქიძე.

◆ **საფინანსო თათბირი.** უახლოეს 2—3 დღის განმავლობაში ამიერ-კავკასიის კომისარიატის საფინანსო საქმეთა წევრი ბ-ნი კარჩიკიანი თათბირობს ადგილობრივ ფინანსისტებთან საფინანსო საქმეების შესახებ ამიერ-კავკასიაში. თათბირის გაგრძელება დღესაც მოხდება. თათბირზე, სხვათა-შორის, იქნებიან ქალაქის მოურავი ნ. ელიავა და მისი თანაშემწე—სმირნოვი.

◆ **სურსათი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო გუშინ, გიორგ. 18-ს ფქვილი 2 ვაგონი, შაქარი 1 ვაგონი და კერძო კაცისათვის გადასაცემად 6 ვაგონი კარტოფილი. სურსათი თბილისში არ არის. ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრმა ტერ-გაზარიანცმა, რომელიც სასურსათო საქმეებს განაგებს, რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო კომიტეტს სესხათ სთხოვა ქალაქისათვის 2 დღის სურსათი.

◆ **მეღვინეობა საქართველოში.** გუშინ კახეთს გაემგზავრნენ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წევრნი და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ვ. რცხილაძე, რომელთაც ადგილობრივ უნდა გამოარკვიონ მეღვინეობის გაუმჯობესების საქმე და შეიმუშაონ პროექტი, თუ როგორ გამოიყენონ მეღვინეობისათვის საუფლისწულო უწყების ნაქონი სარდაფები.

◆ **ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა** კავშირმა თავის წევრთა კრებაზე დაადგინა: 1) შეადგინოს ორი ქართული გუნდი საერო და საეკლესიო, 2) გამართოს ახლო მომავალში ეროვნული საერო-საეკლესიო მუსიკალური საღამო მელიტონ ბალანჩივაძის ნაწარმოებიდან. ხელმძღვანელობა საღამოსი იკისრა თვით მ. ბალანჩივაძემ. 3) გამართოს კავშირის კლუბი, 4) არჩეულ იქმნენ ეროვნულ კრებაზე დასასწრებად კოტე ფოცხვერაშვილი და იოსებ იმედაშვილი, 5) დამატებით არჩეულ იქმნენ კომისიაში შემდეგნი პირნი წევრებად: მელ. ბალანჩივაძე, ნ. ქართველიშვილი, ნ. სულხანიშვილი, ია კარგარეთელი და კ. მაღალაშვილი, რომელთაც დაევალათ ძველ კომისიის წევრების შემადგენლობასთან ერთად წესდების შემუშავება, რის მოხსენების შემდეგ საზოგადო კრებაზე არჩეულ იქნება გამგეობა კავშირისა. მდივნის თანაშემწეთ მოწვეულ იქმნა ბ. ფორაქიშვილი. კავშირმა დაადგინა აგრეთვე გამოეცხადოს პროტესტი ივანე ჯავახიშვილს კავშირის უყურადღებობის გამო.

ქუთაისი

◆ **სროლა.** ღამით ნოემბრის 13 ქუთაისის ქუჩებში სროლა შეიქნა. რამდენიმე ადგილას ჯარის კაცებს პარტიულ ნიადაგზე შეტაკება მოსვლიათ. მათ დასაწყნარებლად მილიციონერებიც ჩაერივნენ. ღამის პირველ საათზე სამთო უბანში უცნობმა პირებმა ყუმბარაც გაისროლეს.

◆ **სათესლე პურის ხორბალი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ფოთში მიიღო 50 ვაგონი სათესლე პურის ხორბალი. ეს ხორბალი მაზრებში განაწილდება.

◆ **შაქრის საკითხი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილებით საქენ შაქარზე დაწესებულია 150 მანეთი.

ბათუმი

◆ **ლოთობა და უწესობა.** ქალაქში ლოთობამ სტიქიური ხასიათი მიიღო. მცხოვრებლებთა 50 პროცენტი არყით ვაჭრობს. მილიციას ვერაფერი გაუწყვია. ამას წინად მთვრალმა მეზღვაურებმა მილიციის კომისარს სცემეს. ტუსაღებმა ზედამხედველი ციხეში მოჰკლეს.

◆ **სოციალისტების ყრილობა.** წარსულ კვირას აქ მოხდა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელთა ყრილობა. მომენტზე მოხსენება წაიკითხა მალხაზოვმა. ყველა სოციალისტურმა პარტიამ ბოლშევიკების საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირეს გარდა სოციალისტ-ფედერალისტ კობახიძისა, რომელმაც გაიზიარა ბოლშევიკების მოთხოვნილება. დასასრულ ყრილობამ მიიღო ბოლშევიკების საწინააღმდეგო რეზოლუცია.

ზუგდიდი

◆ **სასახლის დარბევა.** სოფ. სალხინოში დაარბიეს პრინც მიურატის სასახლე. ჩამოსულმა ჯარის-კაცებმა დაიტაცეს ანტიკვარნი მიურატის ძვირფასი ნივთები.

დუშეთი

◆ **ცარცვა-გლეჯა.** საქართველოს სამხედრო გზაზე ცარცვა-გლეჯა გახშირდა. ამ დღეებში გაცარცვეს გზად მიმავალი ოსი. მათთვის ჩოხებიც კი წაურთმევიათ.

ქ. ხონი

◆ **პარტიული ორგანიზაციის გახსნა.** 11-ს ქ. ხონში შესდგა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. არჩეულ იქმნა პარტიული კომიტეტი და პრეზიდიუმი. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ექიმი ნესტორ ბესარიონის ძე ჟორდანია.

19 გიორგობისთვეს

ქართველნო ყველა მხარიდან,
დიდ-მთა—ტურფა ბარიდან,
შემოკრბით მალე
და დროშა ძმობა-ერთობის,
განმტკიცებელი მშვიდობის
დამამხობელი მონობის,
აღმართეთ!

* *

„სჯობსო“, გვიმღერის მგოსანი:
„სიკვდილი სახელოვანი
ნაძრახ სიცოცხლეს!“
ჩვენც მის ანდერძსა მივსდიოთ
და, თუნდაც სული დავლიოთ,
არ შევდრკეთ,—გზა გავუკვლიოთ
ქვეყნად სინათლეს!

* *

ვიბრძოლოთ კეთილისათვის,
ერის და მამულისათვის!
ვუშველოთ ჩაგრულებს!..
სალამი თავისუფლებას!
თაყვანი ჭეშმარიტებას!
დიდება მშვენიერებას!
ვაშა სიყვარულს!..

დუტუ მეგრელი.

დ. ხობი.

◆ **სანოვაგის სიძვირე.** სანოვაგის სიძვირეა. ფუთი სიმინდი 7 მანეთად ფასობს, ლობიო კი 13 მანეთად.

დ. ონი.

◆ **მოუსავლობა.** წელს რაჭაში მეტად ცუდი მოსავალი იყო. მცხოვრებნი ადგილობრივი მოსავლით ზამთარშიც ვერ გამოიკვებებიან.

დ. ქობულეთი.

◆ **უსურსათობა.** ქალაქს პური შემოელია. დიდი კრიზისია; საჭიროა სასურსათო კომიტეტის მეტი ენერგიული მუშაობა, რომ მცხოვრებლებს სიმშილი თავს არ დაატყდეთ.

ქ. თელავი.

◆ **შეწირულება.** მახარობმა ი. ივანიძემ ათი თუმანი შესწირა ს. კურდღელაურის წმ. გიორგის ეკლესიას იმ პირობით, რომ ეკლესიის ხატებზე რუსული წარწერები ქართულ წარწერად შესცვალონ.

დ. ანანური.

◆ **პროვოკატორის დაჭერა.** გიორგობისთვის 9. აქ ქართულ გიმნაზიის მოწაფემ პეტრე შანიძემ დაიჭირა ერთი ჯარის კაცი, რომელიც დადიოდა სოფლად და პროვოკაციას ეწეოდა. იგი არწმუნებდა ხალხს და ეუბნებოდა რომ ფედერალისტებს უნდათ, რომ ნიკოლოზ II-ე დასვან ტახტზედ და ცდილობენ, რომ ბატონყმობა აღადგინონ და სხვა ამასთანებს ეუბნებოდა ხალხს. ხალხიც გულმოდგინეთ უსმენდა მას. ლაპარაკის დროს ის მილიციონერებმა დაიჭირეს პეტრე შანიძის შემწეობით, პროვოკატორი გადაეცა ადგილობრივ კომიტეტის სასამართლოს, რომელმაც გამოარკვია, რომ პროვოკატორი იყო სომეხი არუთინ დოროკიანცი მე-223 პოლკის ჯარისკაცი, რომელიც დადიოდა სოფლად და აგიტაციას ეწეოდა, ხალხს ეუბნებოდა მეორე ნომერს მიეცით ხმაო და უჩვენებდა მათი კანდიდატების სიას დამფუძნებელ კრებისათვის. პროვოკატორი პასუხისგებაში მისცეს.

ქ. ზესტაფონი.

მიტინგი. გიორგობისთვის 11-ს ქ. ზესტაფონში დიდი მიტინგი გაიმართა. მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. ილაპარაკეს ჩვენში ყველა მოქმედ პარტიების წარმომადგენლებმა. ქ. გამსახურდიამ (კ. აბაშისპირელი ს.-ფედ.) არა საკადრისად მოიხსენია სხვა და სხვა ჩვენში მოქმედი პარტიები. ეროვნულ-დემოკრატმა ბ-მა იოსებ მაჭავარიანმა განუმარტა დამსწრეთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და აღნიშნა მთავარი განსხვავება ჩვენსა და სოციალისტურ პარტიებს შორის. ამის შემდეგ კიდევ ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა, მათ შორის ერთმა ფედერალისტთაგანმა, რომელიც აიძულეს სიტყვა შეეწყვიტა და ძირს ჩამოსულიყო. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმაც ილაპარაკეს: ყველა მოლაპარაკეს გულმოდგინეთ უსმენდენ დამსწრენი. ბოლოს გამოვიდა სალაპარაკოდ სოციალ-დემოკრატი გ. ფაღავა, მაგრამ ხალხში დიდი ჩოჩქოლი ატყდა და გაისმა: „ძირს“, „ძირსო“, ფაღავა იძულებული შეიქნა ძირს ჩამოსულიყო. საზოგადოდ ხალხის თანაგრძნობა ერ.-დემოკრ. მხარეზე იყო.

ლანჩხუთი

◆ **ქალაქის არჩევნები დასრულდა.** 2.602 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 2.030 კაცმა. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 1808 ხმა—18 ადგილი, სოციალისტ-რევოლუციონერებმა—222 ხმა—2 ადგილი.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

(საკუთ. კორეს.)

ქუთაისში.

არჩევნები დასრულდა. სია № 1 მიიღო—9.000 ხმა, № 2—217, № 3—3525, № 4—233, № 5—1243, № 6—2365, № 7—2, № 8—1500, № 9—7, № 15.

ქ. ზესტაფონში.

არჩევნების შედეგი ასეთია: № 1—მიიღო 810 ხმა, № 2—2, № 3—51, № 5—8, № 6—91, № 8—361. არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატების მიერ ჩადენილ უკანონობის გამო პროტესტი განაცხადა 3 პარტიამ.

ფასანაური

წინა მხარეში არჩევნები უკანონოდ სწარმოებდა. თვით კომისიის თავმჯდომარეს ხელში ეჭირა № 1 სიები. საარჩევნო ოთახის შესავალში მილიციონერებს დიდი დასტა ეჭირა № 1 სიები და ხმის მისაცემად მოსულთ ძალით აჩრიდნენ ხელში. ოთახში ათ-ათ ამომრჩეველს ერთად უშვებდნენ.

დურდიაშვილი.

—

დ. საჩხერე.

◆ **ძალადობა არჩევნების დროს.** საჩხერის რაიონში არჩევნები ასეთ შეუწყნარებელ პირობებში სწარმოებდა. სოფელ მეჯიეში სოც.-დემოკრატიული პარტიის კაცები ხვდებოდნენ მომავალთ გზაზედ და ახლო პატარა მდინარესთან და ძალმომრეობით აიძულებდნენ წაეღოთ 1 №-ი, შემდეგ მიაცილებდნენ საარჩევნო მაგიდამდე, სადაც უცნობი ხალხი გამოართმევდნენ ბიულეტენს, ჩადებდნენ კონვერტში და დაბეჭდილს უბრუნებდნენ. შემდეგ ამომრჩეველი მიდიოდა ყუთთან, სადაც ყუთთან მდგომნი გამოართმევდნენ კონვერტს და თითონ აგდებდნენ. როდესაც ერთმა პირმა მანდატები მოიკითხა ყუთებთან მდგომებს, ერთმა ჯარის კაცის ტანსაცმელში გამოწყობილმა დაიწყო უშვერი სიტყვებით გინება და ზოგიერთმა მისმა ამხანაგებმა ხანჯლებზედაც კი გაისვეს ხელი. მკითხველი იძულებული გახდა დაეტოვებინა არჩევნები.

შორაპანი

არჩევნები. დამფუძნებელ კრების არჩევნებს ხალხი სოფლად უფრო მეტი ხალისით ეკიდება ვიდრე დაბა-ქალაქებში, მაგრამ საარჩევნო სიებში ძალიან ბევრნი არიან გამორჩენილნი.

ქ. დუშეთი

◆ **პარტიული მოხსენება.** გიორგობისთვის 11 აქ პეტრე შანიძემ ხალხს განუმარტა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა და დამფუძნებელ კრების საარჩევნო პლატფორმა. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა მოხსენებას და შანიძე ტაშით დააჯილდოვა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

მთავარ კომიტეტში

ერ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტში მოწვეულნი არიან კოოპტაციის წესით „საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრნი ტიტე ტაბიძე და ლელი ჯაფარიძე; აგრეთვე ბ. ჯაიანი და ინჟ. ზეს. ჭიჭინაძე.

ჩხენკელი და მიწის საკითხი

გიორგობისთვის 24 ა. ი. ჩხენკელმა სოხუმის ოლქისა და უბნების კომისრებს და გაერთიანებულ დეპუტატთა საბჭოების თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„ვაცნობ, რომ საქართველოს თავად-აზნაურობის მიერ ქართველ ერისადმი თავისი, როგორც წოდების, ქონების გადაცემის შესახებ სოხუმში ნათქვამი ჩემი სიტყვები ისე ახსნიათ, თითქოს თავადებისა და აზნაურების კერძო მამულებიც ქართველი ხალხის ხელში გადადიოდეს. რუსეთის რევოლუციამ მოსპო ყოველგვარ წოდებრივი უპირატესობანი და ქართველმა დემოკრატიამ ეს პრინციპი განახორციელა იმით, რომ თავად-აზნაურობა აიძულა თავისი ქონება მთელი ხალხისთვის გადაეცა.

ვიდრე რუსეთის დამფუძნებელი კრება მიწის საკითხს არ გადასწყვეტს, კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. მიწის საკითხის თავის ნებით გადაჭრა კი გამოიწვევს ანარქიას, რომელიც თვით გლეხებისთვის იქნება საზარალო.

ამიერ კავკასიაში უკვე შესდგა მიწად მოქმედების სამინისტროს კომისარიატი, რომელმაც უნდა დაამზადოს ყველა ის მასალა რომელიც დამფუძნებელ კრებაზე მიწის საკითხის გადასაჭრელად იქნება საჭირო“.

ა. ჩხენკელი წინადადებას აძლევს მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს თავის ნებით ანარქიული გამოსვლების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღონ და შეიარაღებული ძალაც კი მოიხმარონ. საზოგადო ორგანიზაციებს კი მოუწოდებს მხარი დაუჭირონ მათ და განუმარტონ ხალხს, რომ ანარქიული გამოსვლები რევოლუციას დაღუპავს.

ოზაკომის გაუქმება

ოზაკომის (ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის) გიორგობისთვის 15 სხდომის ოქმში მოყვანილია:

მოვისმინეთ: რადგანაც პეტროგრადთან და დროებითი მთავრობასთან ურთიერთობა შესწყდა, შესდგა ამიერ კავკასიის საოლქო მთავრობა.

დავადგინეთ: მხედველობაში ვიღებთ პოლიტიკურ მომენტის მძიმე პირობებს, აგრეთვე გაუქმებას რუსეთის ცენტრალ მთავრობისას, რომლის რწმუნებულებითაც ჩვენ ვმოქმედობდით, და ჩვენ, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრებმა, დავადგინეთ ხელი ავიღოთ ჩვენს თანამდებობაზე, ვინაიდან უკვე შესდგა ამიერ-კავკასიის საოლქო ახალი მთავრობა.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი **ჩხენკელი, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი.**

ჩრდილოეთ კავკასიის ყაზახები

ჩრდილოეთ კავკასიის ყაზახებმა ბოლშევიკებისადმი გარკვევით მტრული პოზიცია დაიჭირეს. მათ განაცხადეს, რომ თუ ამიერ-კავკასიის დეპუტატთა საბჭოები გაჰბედავენ და ბოლშევიკებს მიემხრობიან, მთელ ამიერ-კავკასიას პურს არ მივსცემთ და შიმშილით ამოვჟლეტავთო. როგორც სჩანს ამ მუქარას სათანადო შედეგი უკვე მოჰყოლია: ბაქოელმა ბოლშევიკებმა აჯანყება დაწყებისთანავე შესწყვიტეს და ვეღარ გაბედეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

ინგლისელები და ამიერ-კავკასიის რკინის გზა

სარკინისგზო გამგეობამ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს დეპეშით შეატყობინა: მესოპოტამიაში სამხედრო მოქმედების წარმოების გამო ინგლისელებს ძალიან აინტერესებს კავკასიის რკინის გზები, ამ გზების დასათვალიერებლად უკვე წამოვიდა სამი ინგლისელი ინჟინერი, რომელთაც ჰმეთაურობს დიდი გამოცდილების მქონე და რკინის გზის საქმეების მცოდნე პოლკოვნიკი არჩიბალდ ჯეკსი, რომელსაც დავალებული აქვს დაწვრილებით შეისწავლოს კავკასიის რკინის გზების მდგომარეობა, რის შემდეგაც შეუდგებიან სარკინიგზო საქმის გაუმჯობესებას კავკასიაში.

ყაზახები და ფულის საკითხი.

გიორგობისთვის 10-ისთვის ნოვოჩერკასკში სამხედრო მთავრობის მიერ დანიშნული იყო ყრილობა, რომლის მიზანიც ფულის საკითხის გადაწყვეტა იყო. ყრილობა უნდა მომხდარიყო დონის საოლქო მმართველობის სადგომში. ყრილობაზე მიწვეულნი იყვნენ წარმომადგენლები როსტოვის საბირჟო კომიტეტისა, „აზოვ-დონის ბანკისა“, მომხმარებელ საზოგადოებისა, უნივერსიტეტისა და მექარხნეთა საზოგადოებისა. მისაწვევი დეპეშები დაეგზავნათ აგრეთვე კავკავის, ეკატერინოდარის, არმავირის და ტაგანროგის საბირჟო კომიტეტებს.

ანგარიში

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1916 წელს.

(წელიწადი მე-X)

I. **საზოგადოების შედგენილობა: წევრთა რიცხვი და საბჭო.**

ა) საანგარიშო წლის დასაწყისში საზოგადოებას ჰყავდა: 1 მზრუნველი, 3 საპატიო და 464 ნამდვილი, სულ 468 წევრი. წლის განმავლობაში დააკლდა 4 ნამდვილი წევრი, ხოლო შემატა 1 მზრუნველი და 20 ნამდვილი წევრი. 1917 წლის 1-ლი იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავდა: 2 მზრუნველი, 3 საპატიო და 480 ნამდვილი, სულ 485 წევრი.

ბ) საანგარიშო წლის 20 ენკენისთვემდე საზოგადოების საბჭოს შემადგენლობა იყო ასეთი: თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი, მისი ამხანაგი დ. გ. კარიჭაშვილი, მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი ი. ი. აბულაძე, მდივანი ს. გორგაძე, ხაზინადარი ირ. სონღულაშვილი და წევრები: დეკანოზი კორნ. კეკელიძე, ალ. თ. ყიფშიძე (გარდაიცვალა საანგარიშო წლის 16 თიბათვეს), შ. ქარუმიძე და გ. ნათაძე. 1916 წლის 20 ენკენისთვეს ძველ საბჭოს ვადა გაუვიდა და მოხდა ახალი არჩევნები ასეთის შედეგით: თავმჯდომარედ ე. ს. თაყაიშვილი, ამხანაგად დ. გ. კარიჭაშვილი, მდივნად ს. გორგაძე, მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად ი. ი. აბულაძე, ხაზინადრად ი. თ. სონღულაშვილი, წევრებად: დეკანოზი კორნ. კეკელიძე, შალვა ქარუმიძე, გერონტი ქიქოძე და იოსებ გოგოლაშვილი; მათ კანდიდატებად: გერ. ამნაიშვილი, პავლე ინგოროყვა და გრ. ნათაძე. ხაზინადარი ირ. სონღულაშვილი მიმდინარე წელსაც ასრულებდა კიდევ ორ თანამდებობას: მუზეუმის მცველის თანაშემწეობას და საქმისმწარმოებლობას. საანგარიშო წლის განმავლობაში საბჭოს ჰქონდა 20 სხდომა.

II. **საზოგადოების მოქმედება: საზოგადო კრებანი, მოხსენებანი, მოგზაურობანი და გამომცემლობა.**

ა) საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონდა 5 ჩვეულებრივი, 4 არაჩვეულებრივი და 1 წლიური, სულ 10 საზოგადო კრება.

ბ) კრებაზე მოხსენებანი წაიკითხეს:

1. მღვდ. პოლ. კარბელაშვილმა: „თეიმურაზ ბატონიშვილი“ (ოქმი № 113).
2. გ. მამრაძემ: „ქართული მწერლობის ალნუსხვის შესახებ“ (ოქმი № 113, შეად. № 111).
3. აკაკი შანიძემ: „მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (ჰ-ესი და ს-ანის ხმარების საკითხი ზმნის ფორმებში)“. იხ. ოქმი № 114.
4. ჩუბინაშვილმა: „ქართული ბაზილიკის შესახებ“ (ოქმი № 116).
5. აკაკი შანიძემ შესახებ გლოლისა და ღების კილოებისა (რაჭაში). იხ. ოქმი № 116.
6. ე. ს. თაყაიშვილმა: „ლეჩხუმის ეკლესიები“ (ოქმი № 118).
7. პავლე ინგოროყვამ: „ნიკ. ბარათაშვილი და ქართული ლექსის პრობლემა“ (ოქმი № 119).

გ) საანგარიშო წელს მიუხედავად ომიანობით გამოწვეულის ცხოვრების სიძვირისა და არეულობისა საზოგადოებამ მაინც მოახერხა სამეცნიერო მოგზაურობათა მოწყობა: საეთნოგრაფიო და სალინგვისტო მიზნით გაგზავნილ იქმნა რაჭაში საზოგადოების წევრი აკაკი შანიძე ადგილობრივი კილოკავების შესასწავლად (საბჭოს ჟურნ. № 133). მოგზაურობის შემდეგ ბ-ნმა შანიძემ წაიკითხა მოხსენება საზოგადო კრებაზე და გადასცა მის მიერ შეკრებილი მასალა და დაკვირვებანი (საზოგ. კრ. ოქმი № 114). მეორე ექსკურსია იყო მოწყობილი ფრესკების გადმოსაღებად გორის მაზრაში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მხატვრებმა ხელოვანთა საზოგადოებისა მოსე თოიძის და დიმ. შევარდნაძის თაოსნობით. ამათი მუშაობა სამს თვემდის გაგრძელდა. გადმოიღეს ცხრამეტი ძვირფასი პირი ნაბახტევის ეკლესიის ფრესკებისა (ჟურნ. № 139) და მით გაამდიდრეს ეს დარგი მუზეუმის ნივთებისა.

დ) საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონდა გამოცემათა ოთხი სერია: „ძველი საქართველო“, „საქართველოს სიძველენი“, „ძველი ქართული მწერლობა“, „ქართული ხალხური სიტყვიერება“. ქაღალდისა და სტამბის უჩვეულო სიძვირის გამო და აგრეთვე ასოთა-ამწყობთა უშოვნელობის გამო ამ სერიების ბეჭდვის გაგრძელება შესწყდა, მაგრამ საზოგადოებამ მაინც მოახერხა დაემთავრებინა და გამოეცა I ტომი „ძველი ქართული მწერლობისა“, რომელშიაც დაიბეჭდა ი. აბულაძის რედაქციით „მეფეთა წიგნის“ ანუ (შაჰ-ნამეს) ქართული ვერსიების პირველი ნაწილი (საამიანი, ზააქიანი და როსტომიანი). ეს დიდი ტომი შეიცავს 888 გვერდს. ამას გარდა არჩეულ იქნა ორი სარედაქციო კომისია: 1) „ქართული ხალხური სიტყვიერებისა“—ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და 2) აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოსაცემად ს. გორგაძის თავმჯდომარეობით (საბჭოს ჟურნალები №№ 134, 137, 146).

(დასასრული იქნება)

წერილი ქუთაისიდან

დამფუძნებელი კრების არჩევნების სამზადისს ქუთაისში არსებული პარტიები 5 გიორგობისთვიდანვე შეუდგნენ. ყველა თავისთვის სცდილობდა ნიადაგი მოემზადებინათ, რომ რაც შეიძლებოდა ბევრი ხმები მიეღოთ, მაგრამ მუშაობას ცუდი ამინდები ხელს უშლიდა.

11 გიორგობისთვეს ს.-დემოკრატებმა და ს.-რევოლუციონერებმა ქუჩებში ჯარის კაცები გამოიყვანეს და ქუჩებში დროშებით დადიოდნენ, რა არის ამით ერთნაირი ეფექტი მოეხდინათ მცხოვრებლებზე.

არჩევნების წინა დღეს ქუჩები განცხადებითა და მოწოდებით აივსო. გამოჩნდა ქუთაისისათვის უცნობი პარტიების მოწოდებებიც, როგორიც არიან სიონისტები, კადეტები და დაშნაკცაკანები, მაგრამ არ არის გასაკვირველი, რადგანაც თვითეული პარტია თვითეულ ხმას სანთლით ეძებდა.

12 გიორგობისთვეს ამინდმაც ხელი შეუწყო, გამოიდარა. დაიწყო არჩევნები. ქალაქი დაყოფილი იყო რამდენიმე უბნად, მაგრამ მცხოვრებთა შორის არ მოსჩანდა ის აღფრთოვანება და უნარი, როგორც ეს გამოსჩანდა რევოლუციის პირველ დღეებში და ქალაქის არჩევნების დროს.

პირველ დღეს შედარებით ძალიან ცოტამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. მიზეზი არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობისა ის იყო, რომ საარჩევნო კომისიამ ვინაობის მოწმობები წინდაწინ სახლებში არ დაარიგა, როგორც ეს მოხდა ქალაქის არჩევნების დროს.

პირველ დღეს ღამით ჯარის კაცებს შეტაკებაც მოუხდათ. ერთმა ს.-დემ. [illegible] ჯარის კაცმა მეურვეებს ხმლის ჩაკვრაც კი მოუნდომა. საქმეში მილიცია ჩაერია და ჯარის კაცები თოფის სროლით გაფანტა.

ამ ღამეს სხვა და სხვა ადგილებში იყო აგრეთვე სროლა. გაისროლეს ერთი ყუმბარაც. მცხოვრებლები შიშის ზარმა აიტანა, მაგრამ სროლას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია.

13 გიორგობისთვეს ყუთებთან კიდევ უფრო ცოტა ამომრჩევლები ჩანდნენ და 14 გიორგობისთვეს კი თითქმის არავინ მიდიოდა ყუთებთან.

დაახლოებით ქუთაისში სამი დღის განმავლობაში არჩევნებში იმის ნახევარსაც არ მიუღიათ მონაწილეობა, რაც ქალაქის არჩევნებში მიიღეს.

ამის გამო დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობ საგუბერნიო კომისიამ ამიერ-კავკასიის საარჩევნო ცენტრალ კომისიას 14 გიორგობისთვეს საჩქარო დეპეშით სთხოვა, რომ არჩევნები ქუთაისში კიდევ გაგრძელებულიყო 15 და 16 გიორგობისთვეს. ცენტრალ კომისიიდან თანხმობა უკვე მოვიდა.

ამგვარათ არჩევნები კიდევ გაგრძელდება 15 და 16 გიორგობისთვეს, მაგრამ არა გვგონია, რომ არჩევნების გადადებამ ხალხი მიიზიდოს.

—

სულ სხვანაირად მიდის სოფლებში არჩევნები. ჩვენი მშრომელი გლეხები, რაღაცას გამოელიან ამ არჩევნებიდან და უფრო ხალისით ეკიდებიან, ვიდრე ქალაქებში. სამწუხაროდ, იქ ჯერ კიდევ ვერ იცნობენ მრავალ რიცხოვანი პარტიების მრწამს და ეს ჰბადებს მათში ერთნაირ გაუგებრობას.

მაგრამ ამ გაუგებრობის ბრალი არის თვით ჩვენში არსებული სოციალისტური პარტიები. დღემდის მათ გარკვეულად ვერ უთქვამთ გლეხებისათვის, თუ რა სწადიათ, თუ რა არის მათი მრწამსი და რა ჰსურთ მათთვის.

ის სოფლები, სადაც გაიგეს მიმართულება ერ. დემოკრატიული პარტიისა, ჩამოშორდნენ სოციალისტურ პარტიებს და დაადგნენ რეალურ გზას, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი ქართველი გლეხი.

ამ დღეებში სოფლებიდან აუარებელი გლეხები ჩამოდიან. ითხოვენ ჩვენი პარტიის კანდიდატთა სიის ბლანკებს და თვითონ მიაქვთ საჩქაროთ სოფლებისკენ.

ტეხნიკური მოუწყობლობის გამო ჩვენი ბარათები ვერ მიაწვდა ყველა სოფლებს და ეს ძლიერ აღონებს გლეხებს. აღონებს და მათში ერთგვარ განხეთქილებასაც ჰბადებს.

როგორაც ერთი სოფლიდან ამბავი მოგვივიდა, როდესაც დაინახავს, რომ ეროვნულ-დემოკრატების კანდიდატთა სია არ ჩანდა, მაშინ სოფელს ყუთი აუღიათ ეკლესიაში ჩაუკეტიათ და სიების მოტანამდის არჩევნები გადაუდვიათ.

მეორე სოფლიდან კი სამწუხარო ამბავი მოვიდა. როდესაც დაინახავს, რომ მთელი საზოგადოება ხმას ჩვენს სიას აძლევდა, ადგილობრივ მთავრობას გლეხები დამუქრებით დაუშინებიათ და გლეხებიც ხმას არავის აღარ აძლევენ.

ასეთი ამბები ბლომად მოდის.

მაგრამ ჩამაფიქრებელი კიდევ ერთი რამ არის. როდესაც არჩევნები დასრულდება, ხმებს სოფლებში დაითვლიან. ჩვენი წარმომადგენლები არ იქნებიან ყველა საარჩევნო კომისიებში და ვინ უწყის, რა ბედი ეწევა იმ ხმებს, რომელიც ჩვენს კანდიდატთა სიას ამოუვათ.

ყოველ შემთხვევაში არჩევნები ვერ არის კარგ პირობებში ჩაყენებული, მაგრამ ვნახოთ რა შედეგი მოჰყვება.

—

ცარცვა-გლეჯამ ქუთაისში თავი იჩინა. კვლავ წამოჰყვეს თავი ბოროტმა პირებმა. კვლავ დაიწყეს აწიოკება მშვიდობიანი მცხოვრებლებისა.

ასეთი ცარცვა-გლეჯა ქუთაისში ქრონიკულ ავადმყოფობათ გადაიქცა და ეს ავადმყოფობა დღითი დღე ძლიერდება.

დღეს ერთს დაეცემიან, ხვალ მეორეს. გაბედულად ცხოვრება ვერვის გაუბედნია. არავითარი ზომების მიღება მათზე არ სჭრის. ყოველ დღიურ თავხედობას და ავაზაკობას საზღვარი არ უჩანს. 13 გიორგობისთვეს ღამით სამი შეიარაღებული, სახე შეღებილი უცნობი ეწვია მ. მოწონაშვილს. თავს შიშველი რევოლვერითა და ხმლით დაადგნენ და მოსთხოვეს რაც გააჩნდა. წაიღეს 25,000-მდე ფული და ნივთები.

რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ კითხვა იბადება: როდემდის უნდა გაგრძელდეს თავ-აშვებულთა ასეთი მოქმედება? როდემდის უნდა იყოს ქუთაისის საზოგადოება ასეთ საშიშ მდგომარეობაში?!.

ადმინისტრაცია თუ ენერგიულ ზომებს მიიღებს, ეჭვი არ არის, თავხედთა მოქმედება აღკვეთილი იქნება, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ეს ენერგიული ზომები არსადა სჩანს... ქუთაისი თითქმის უპატრონოა და უპატრონო ეკლესიას ხომ ეშმაკები, ღამურები და ყვავ-ყორნებიც ეპატრონებიან...

ნარ—ანი.

მოწინავე რაზმი

სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ორბ.

(შემდეგი*)

საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა, ფოთიდამ ნავებით შორაპნამდე, მერე სურამის მტკვრამდე ხმელეთით, შემდეგ მტკვრით კასპიის ზღვამდე, იქიდგან ამუ-დარიით და მერე ხმელეთით ინდოეთამდე. კოლხიდა ითვლებოდა შუამავლად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო და სხვა კულტურულ შეძენილობაში. კოლხიდა მიაწვდიდა მდ. ტანაისამდე (დონამდე), ჰქონდა სავაჭრო ქალაქები, საცა სალებ-მიცემოდ ჩამოდიოდნენ სკვითები. თვით კოლხიდასაც ამის გამო ეწოდათ „ინდიკა", ინდოეთი. მიტრიდატ დიდის დრომდე თვალ-მარგალიტი, როგორც იუწყება პლინი, უცხო იყო რომაელებისთვის. ამავ კოლხეთის გზით შევიდა რომში სერიკა (აბრეშუმეული). პონტო-კოლხეთიდამ და მეზობელ ხალხებიდამ პომპეუსმა წაიღო რომში 33 გვირგვინი მოთვალ-მარგალიტებული (რიტტერ 53, 80).

მართალია, ქართული ქანდაკება დაუვარდება ათინის აკროპოლის შემამკობელ ფიდიის მიერ ნახელოვნარ ღმერთქალის ათინას ქანდაკებას, მაგრამ ისიც დასახსოვარია, რომ თვით ამ ღმერთის სახე საბერძნეთს გადინერგათ კოლხეთიდამ, იმ ქვეყნიდამ, საცა ადამიანების იმდენი ცოცხალი სახეებია რომელნიც მშვენიერებით თვით ფიდიუსის ათინას არ დაუვარდებიან. სწორეთ ამ ქართულ შვენიერებამ შემდეგ იერი და ფერი მისცა სპარსთა და ოსმალთ ელების ბუნებრივ მოუხეშავ სახეობას. აქ, საქართველოშივე განვითარდა ხვეული ხელოვნება, რომლის ბადალი არა სჩანსო არსად სხვაგან. სტრაბონის დროსვე ეს ქვეყანა შემკული იყო კრამიტით გადახურულ სახლებით, ლამაზ სოფლებით, საზოგადო შენობებით. ბუნებით შემკულს საქართველოში თვით მისი მოსახლე ქართველების შვენიერების სახეობაც ისეთია, რომ რამდენიც ადამიანობა ჰშორდება ქართველთა მოდგმას, იმდენად სილამაზეც აკლდება და ბოლოს ზანგებით თავდება.

ასეთ წარმატებით სვლით დამკვიდრდა მცხეთაში მეფობა და იმავ ჟამს იქვე დაიბადა აზრი საქართველოს შემოკრება-შემოერთება-გაერთიანებისა. მცხეთის მეფემ (ფარნავაზმა) დაადგინა თავისი ერისთავები კახეთს, ხუნანს (მმართველად ქვეყნისა მდ. ბერდუჯიდგან ტფილისამდე და გაჩიანამდე), სამშვილდეს (მმართველად სკვირეთის მდინარიდგან ტაშირისა და აბოცის თავამდე), წუნდას (ჯავახეთი, არტანი კოლა), „ოძრახეს" (ტასისკარიდან (ბორჯომის ყელიდგან) არსიანის-მთამდის და ნოსტის თავითგან შავ ზღვამდის—სამცხე და აჭარა) კლარჯეთს, მარგვის (ლიხით შავ ზღვამდე, რიონს ზემოთ) და ქართლს (ტბილის-არაგვითგან ტაშისკარ-ფანავარამდე). ჩაიბარა მათ სამოქალაქო გამგეობა თავ-თავის საერისთაოებისა, ხოლო ომის დროს ყოველი ერისთავი გამოდიოდა თავის მხრის ლაშქრით და მის სპასალარი თვითონვე იყო, ყველა სპასალარები კი ემორჩილებოდნენ ერთს უმთავრეს წინამძღოლს სპასპეტს, რომლის უფლება მინიჭებული ჰქონდა ქართლის ერისთავს. ერისთავ-სპასალარები ხარკს და ყოველ ანგარიშს აბარებდნენ ქართლის ერისთავ—სპასპეტს და ეს კი პასუხის მგებელი იყო მეფის წინაშე.

თავისთავის ძლიერების მოსამატებლად მეფემ თვისი ერთი და მიათხოვა ოსეთის მეფეს, მეორე კი ქუჯის, რომელსაც დაუმტკიცა ეგრის სვანეთის ერისთაობა (ქვეყანა სვანეთით ზღვამდე, ეგრისწყალსა და რიონს შორის) მან ააშენა ციხე გოჯი.

მცხეთის უზენაესობის გარეშე დარჩა არა თუ კაპადუკია—პონტო (ჭანეთი), არამედ ქვეყანაც ეგრის წყალს (ინგურს) იქითი კლისურამდე, ე. ი. ნაწილი სამეგრელოსა, სამურზაყანო, აფხაზეთი და ჯიქეთი. შემდეგში ეს ეგრის წყალს იქითიც მზითვად მიებოძა გორგასალზე საბერძნეთიდამ გამოთხოვილ ელენეს, მაგრამ მანამდე და შემდეგაც ბაგრატ გამაერთიანებლამდე არა თუ ეგრის წყალს იქითი, არამედ მთელი კოლხიდაც დიდს რყევაში იყო.

ერთ ხანს ჰეგემონია წილად ხვდა პონტოს. ნიჭიერმა მიტრიდატ VI-მ შემოიერთა კაპადუკია, თავრიდა, თვისი უზენაესი გავლენა მოჰფინა კოლხეთს, ივერიას, ალბანიას, დაუნათესავდა სომხეთის, ეგვიპტის, კვიპრის გამგებლებს, გაიჩინა ძლიერი ლაშქარი და ფლოტი და სასტიკად შეებრძოლა ერთა და ხალხთა დამონებულ რომს. ხმელთა შუა ზღვის კუნძულები კიდეც დაიპყრა, მტერს აღუდგინა საბერძნეთი და ბევრი სხვა ხალხი, მაგრამ მაინც დამარცხდა (+63 წ. ქ. წ.). მის მოძრაობას ძალიან იმპერიის დაარსებისთვის აღმოსავლეთში მოჰყვა საუკუნოდ დაკარგვა პონტოსი, კაპადუკიისა და თავრიდისა და თან დანაწილებაც საქართველოისა წვრილ-წვრილ სამეფო-სამთავროებად.

მაგრამ რომაელებმა ესეც არ აკმარეს აღმოსავლეთს. მოჰყვნენ პალესტინითგან. 60 წ. ქ. შ. ტიტემ აქ ერთ დღეს ამოჟლიტა 18,000 სული ებრაელი, მერე კიდევ 115,000, აიღო იერუსალიმი და კიდევ გასწყვიტა 967,000, 97,000 დაატყვევა. ადრიანეს მეფობაში (135 წ.) კვლავ დაიღუპა 580,000 სული.

რამდენი დაიღუპა პართიასა, სპარსეთსა და პონტო-საქართველოში, არა სჩანს, ხოლო ეს-კი ვიცით, რომ სპარსეთის ძლიერი სახელმწიფო რომაელ-მაკედონელებმა პირქვე დასცეს, სომხეთის მეფეს რომაელებმა ერთ ბრძოლაში მხოლოდ ამოუწყვიტეს 100,000 კაცი. მიტრიდატ დიდის ძე ფარნაკი ისე ანაზდად მოსრეს, რომ მის განადგურების მოხსენებისთვის დაიჭირდათ მხოლოდ სამი სიტყვა: veni, vidi, vinci. ივერიას ჯერ უალერსებდნენ, რადგან ეპყრა კავკასიონის მაგარი კარები: ფიქრი ჰქონდათ, ეს კარები (ზეკარი, ხადისკარი, დარიალაანთ კარი და სხ.) არ გაეღოს და ჩრდილოეთის ველურები არ შემოესიოსო რომაელების სამფლობელოებს; მის მეფეს ყველაზე მეტ საჩუქრებს აძლევდნენ, მას აცხადებდნენ რომის ერის და კეისრის მეგობრად, ციხეს უგებდნენ სტრატეგიულ ადგილას, მცხეთის ვიწროებში, შველოდნენ სომხეთისა და პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ყველა ეს ქათინაურები დასრულდა 298 წელს, როდესაც ივერია გამოაცხადეს კეისრის ვასალად. ესეც არ აკმარეს, 368 წელს თვით პაწია ივერია გაუყვეს ორ მეფეს—ასპაგურსა და საურმაგს, ხოლო სომხეთში კი მოსპეს მეფობა (433 წ.) და მისი ნახევარი თვითონ დაიტოვეს, ნახევარი კი დაიპყრა უკვე გაძლიერებულმა სპარსეთმა.

აწ უმეტესი დამცირება მოელოდა ივერიას, რადგან უკვე ქრისტიანი ქვეყანა იყო და სპარსეთი კი ამ ქრისტიანობას დაუძინებელ მტრად გადაეკიდა. იბრძოდნენ აღმოსავლეთის და დასავლეთის დევები და შუაში იჭყლიტებოდნენ პაწია ივერია და იმაზედაც მცირე კოლხიდა. გაიქცეოდნენ კიდეც, თუ არ გამოსჩენოდათ გორგასარი და ცეცხლური ენიანი მჭევრმეტყველები კოლხელი ფარტაცი და აიეტი. ამათ სცილასა და ხარიბდას შუა გამოატარეს ამერ-იმერის სახელმწიფო ნავები. შემდეგ ამისა მალე გამოჩნდნენ არაბები, და საპოლიტიკო ორიენტაციაც შეიცვალა.

ჯერ ამასწინად ბიზანტიელებმა მოჰკლეს კოლხთა მეფე, მერე გამოვიდა კეისარი ირაკლი, ტფილისი აიკლო, ქართველ მეფეს ცოცხლივ ტყავი გააძრო, ჩავლო, მილეწ-მოლეწა სპარსეთი, და ვიდრე დაბრუნდებოდა კონსტანტინეპოლს, კიდეც მპყრობელობა იწყო მაჰმადიანობამ. არაბების ძლიერებამ მალე გათელა შუამდინარე, სპარსეთი, სომხეთი და შემოიჭრა საქართველოში (668 წ.) იგი უკუაქციეს ქართველებმა, მაგრამ 50 წლის შემდეგ კვლავ ახალი ტალღა მოვიდა ჰაჟუმის სარდლობით, მერე ბუღა-თურქის სპასალარობით. დაწესდა საქართველოში არაბთა ემირობა, თუმცა მეფობაც არ მოისპო, და არა თუ არ მოისპო, ერთის მაგიერ გაჩნდა რამდენიმე სამეფო-სამთავრო—საერისთოები. ტფილისში იჯდა არაბთა ემირი. ქართველთა ხელისუფლობრივი აზრი დაბინავდა არტანუჯს აშოტ კურაპალატთან ერთად. იქიდგან ამ აზრმა იწყო მუშაობა, თანდათან მოეფინა მთელს საქართველოს და მეათე საუკუნეში (985 წ.) იოანე მარუშიძის თაოსნობით და დავით კურაპალატის დახმარებით დიდმა ხელმწიფემ ბაგრატ III-მ გააერთიანა ამერ-იმერი, და ასე შესრულდა მიტრიდატ დიდის სწრაფვა, თუმცა ნაწილობრივ: შეჰქმნა ქართველ გვარტომთა პატარა იმპერია. ამას იმ ხანებში ჰქონდა იმდენი ძლიერება, რომ განსაცდელისაგან იხსნა კონსტანტინოპოლი, კეისარს დაუმარცხა მტერი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც, დაიპყრო-რა მცირე აზია, მოინდომა აეღო სატახტო ქალაქიც კონსტანტინოპოლი. მაგრამ ეს მადლი იმავ კეისარმა ქართველებს უმადურობით გადუხადა: უმრავ ლაშქრით წამოვიდა, დაიპყრო ქართველების მტკვრის სათავეების მაზრები, ამოჟლიტა ორასი-ათასამდე სული. მიუხედავად ამისა საქართველომ მაინც გაძლიერების სწრაფვას არ უკლო, თუმცა ხელს უშლიდნენ, ერთის მხრით, იგივე კეისრები და, მეორეს მხრივ, არაბები და ახლად ისტორიულ ასპარეზზე გამოსული სელჩუკები, მერე ოსმალნი და შემდეგ მსოფლიოს დამპყრობელი მონგოლები. მიუხედავად ამ აუარებელ რაზმებისა და ურდოებისა, ქართველობამ მოიპოვა იმდენი შინაგანი ძალა, რომ სწორეთ ამ დროს მიაღწია თავის უზენაეს ძლიერებამდე და სწორეთ ეს ჟამი შეჰქმნა თავის ოქროს საუკუნედ, და არა თუ ესრე, არამედ თვისი ციხე და ზათქი მიჰფინა ახის-ყაის-დვინ-არზრუმამდე, რომელნიც შემოიერთა, იმათაც იქით ტრაპიზონამდე, საცა დააწესა პონტოს იმპერია, და პალესტინამდე, რომლის მცველ-მფარველად ქართველთა მეფე ითვლებოდა ძველთაგანვე და აწცა გახდა მონაწილედ საჯვაროსნო ომებისა.

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქართ." № 254.

თეატრი და ხელოვნება

16 ამ თვეს პირველად დასდგეს ქართულ კლუბის თეატრში ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა: „სულელი". მოკლედ შინაარსი შემდეგია: სიკვდილის კავშირის საიდუმლო წევრს გიორგი ბარათაშვილს (ი. ზარდალიშვილს) დაუვალებს მიზნად მოძრაობის ხანის უკუღმართ გმირების გენერალ ფონ-გაუფმანის (გ. მაჭარაძე) და იმის ხელქვეითის ბარონ შტრონგერის (ნ. შალიკაშვილი) მოკვლა. მაგრამ ერთსაცა და მეორესაც გულმოდგინედ იცავენ ბნელი ძალები. ბარათაშვილი შედის ბარონის ოჯახში და ეცნობება იმის ცოლს (ქ-ნი ქიქოძე), როგორც მოძრაობისგან დაზარალებული თავადიშვილი, რომელსაც გლეხებმა გაუოხრეს მამული და სახლკარი და ახლა ვითომდა სამსახურს ეძებს. სთხოვს ბარონესას უშუამდგომლოს ქმართან და სამსახური გაუჩინოს. თავი უჭირავს, როგორც მოსულელო, მაგრამ მეტის მეტად მხიარულ ადამიანს... ბარონესას შემწეობით იშვა ადგილი და ამით შინაური ადამიანი გახდა ბარონის და გენერლის ოჯახებში. ეხლა ხელი უნდა იგდოს იმისთანა შემთხვევა, რომ მოჰკლას ორივე, თითონ კი, თუ მოახერხებს, თავს უშველოს.

გენერლის ცოლი (ქ-ნი ჯავახიშვილი) გააცნობს მას გენერლის დისწულს ლიზას (ქ-ნი ქილარჯიშვილი), რომელიც დაობლების შემდეგ დასახლდა ამათ ოჯახში. ბარათაშვილი და ლიზა ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ეს დაახლოვება შემდეგ სიყვარულის ხასიათს იღებს. ბარათაშვილი უმხელს ლიზას, რომ მის მამის მკვლელი ლიზასვე ბიძაა (გენერალი), რომლის ოჯახში ლიზა ახლა სცხოვრობს. განცდა და გრძნობათა ღელვა ლიზას გულში, რომელსაც ბარათაშვილი უხსნის, რომ მან დღეს დააპირა გენერლის და ბარონის მოკვლა. გენერლის მოხელე გერცენსკის (ბ. გვარამაძე) ალღო აქვს აღებული ბარათაშვილზე და უკანასკნელ წამს შემოჰყავს პოლიციელები, რომელნიც იპყრობენ ბარათაშვილს და განსაცდელიდან იხსნიან განწირულთ. ამ დროს ლიზა იღებს რევოლვერს და ჰკლავს ბიძა-გენერალს—მამის მკვლელს.

ასეთია დრამა რთული შინაარსით, მაგრამ ღარიბი იმ ელემენტით, რაიცა შეადგენს საკუთრივ დრამას, ე. ი. გრძნობათა განცდით და მათ სიტყვიერად გამოხატვით.

ბ. ზარდალიშვილიც ცდილობდა, რაც შეეძლო, თავის თამაშით აენაზღაურებინა პიესის ნაკლი, მაგრამ რა ჰქნას მსახიობმა, თუ თვით ავტორმა ჯეროვნად და მდიდარ ენით ვერ გადმოგვცა იმის სულის ტანჯვა და ორჭოფი მდგომარეობა.

ქ-ნი ქიქოძემ მშვენივრად შეასრულა ბარონესას როლი, მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში გადამეტებულ სიცილით, გაჰფანტა ბარონესობის ილუზია. ქ-ნი ჯავახიშვილი ბევრს იცინოდა, მაგრამ თუ არავის აცინებდა, ეს იმის ბრალი არ იყო. ასეთივე იყო ბ-ნი მაჭარაძეც (გენერალი).

ბ-ნმა შალიკაშვილმა ცოცხლად გადმოგვცა დიდ მოხელის, მექრთამის და გაიძვერა ბარონის როლი. ქ-ნი ქილარჯიშვილი ბუნებრივად გადმოგვცემდა ოჯახის ზედმეტ წევრის როლს, რომლის დაობლებულ სულს მძიმე ლოდად აწევს მამის მოკვლის ამბავი და მის მკვლელთა ძიება. დანარჩენი მსახიობებიც ცალმხრივად ასრულებდნენ როლებს, მაგრამ ეს პიესის ბრალია. საზოგადოთ, ბ. შიუკაშვილის პიესებში ყველა გმირები ცალმხრივნი არიან, ან სულ შავები, ან სულ თეთრები. არა აქვთ ცხოველმყოფობა, მრავალგვარობა...

ერეკლე ლუკაშვილი.

კორესპონდენცია

ქარელიდან.

ხაშური. ხალხში გავრცელებულია ყალბი შეხედულება რევოლუციაზე. ხალხს ჰგონია, თატომდაც, რომ, რაკი თანამდებობის პირებს ხალხივე ირჩევს ან და რევოლუციონური მთავრობა ჰნიშნავს, უეჭველად ისინი სრულიად უმწიკვლო ხალხი უნდა იყოს. მაგრამ 8 თვის სინამდვილემ დაგვანახვა, რომ, სამწუხაროდ, სწორედ ამ მწვავე დროს არჩეული თანამდებობის პირნი, განსაკუთრებით დაბა-სოფლებში ხშირად ძველ პოლიციელებზე გაცილებით ცუდნი გამოდგნენ. კაცი უნდა თვითონ იყოს წმინდა და სპეტაკი, თორემ აი ამ რევოლუციისა, საერთო ალტაცების და იმედიანობის ხანაში სხვა და სხვა კომისარები ბოროტად იყენებენ ხალხის ნდობას. სისასტიკე, მოლაყბეობა, მექრთამეობა, ძალადობა და სხვა ამის მაგვარი სიბინძურენი ამა ქვეყნისანი—აი რასა აქვს ადგილი დღესაც ჩვენი დაბა-სოფლების ცხოვრებაში.

ამას წინად ქართულ გაზეთებში იყო მოყვანილი ამბავი ქარელის ერთ-ერთი დაბის კომისარის მოქმედების შესახებ.

არა ნაკლებ საინტერესო პიროვნება ყოფილა გორის მაზრის, სურამის ნაწილის ალის საზოგადოების კომისარი, ვინმე გაბო გონგლაძის მოქმედება. ეს რევოლუციონური მთავრობის მოხელე თურმე თავისზე უფროსად არავის არა სცნობს; საფრანგეთის მეფე ლუი მე XVI-სავით იძახის: „კანონი მე ვარო".

სოფ. ნაბახტევში მცხოვრებ აველ ავალიანის მამულში ხსენებულ კომისარის ნაწყემსი თურმე ღამ-ღამობით ჩუმად ყანას აძოვებდა. ერთხელ პატრონი ჩაასწრებია და საქონელი დაუჭერია თავის ყანაში. მწყემსი გაქცეულა. მეორე დღეს ავალიანს უთქვამს კომისრისათვის, გიჩივლებ და წინხედს ძალიან გადაგახდევინებო. ამის შემდეგ ავალიანის სახლში, მის შინ არ ყოფნის დროს, გაბო გონგლაძე მისულა მილიციონერებით, კარები ძალით შეულეწია, მთელი სახლი აუქოთებიათ, მოუტაცნიათ ხანჯალი, თოფი და 16 თუმანი ფული წაუღიათ და წასულან. ავალიანს ადგილობრივ მსაჯულებთან უჩივლია, მაგრამ მათ დადგენილებას კომისარი არ დამორჩილებია. გორის სამაზრო კომისართან ჩივილის შემდეგ საქმე ალის აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცა გასარჩევად, რომელმაც გონგლაძეს მიუსაჯა 1 კვირით დაპატიმრება და [illegible]. საქმე შინაურულად გაეთავებინათ, კომისარიც გადააყენეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გორში მიუციათ ისევ თანამდებობა.

საყურადღებოა, რომ ხსენებული გაბო გონგლაძე ძველი მთავრობის დროს სოფლის მამასახლისად იყო და საზოგადო ფულის გაფლანგვისათვის და სხვა და სხვა უკანონო მოქმედებისათვის გადააყენეს, ხოლო სასჯელს ათასი მახინჯობით თავი დააღწია.

ასეთი პიროვნება, როგორიც არის ხსენებული კომისარი, სრულიად უნდა ჩამოშორდეს საზოგადო საქმეს. მაგრამ ამის მაგივრად კაცი, რომელმაც ნდობა დაჰკარგა, როგორც ძველი რეჟიმის დროს, ისე ეხლა, უფრო მაღალ თანამდებობაზე ნიშნავენ და წარმატებას აძლევენ.

ასეთი მოვლენა ჩვენი სოფლისთვის დამღუპველია და რევოლუციას ამცირებს.

შ. ხაშურელი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

კალენდარი

კვირა, გიორგობისთვის

19

მე 5 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართვ. წმ. წინასწარ. აბდიასი, წმ. მოწ. ვარლამისა; ღირს. მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა საკვ. მოქმ. († 821)

კათოლ. ქალწ. ელისაბედ სა.

სომეხ. აღდგის ღამე ჰინსაკის მარხვისა.

მაჰმად. ექ-შამბე 16 რ. საფარისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონ 18 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყ. შექ.

ორშაბათი, გიორგობისთვის

20

მე-6 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართვ. წინა დღე ტაძრად მიყვანებისა ღვთის-მშობლ. ღ. მამ. ჩვენისა გრიგოლი დეკაპოლელისა და პროკლე მთავარ ეპისკოპოზისა.

კათოლ. ფელიქსისი.

მაჰმად. დუ-შამბე 17 რიც. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშენი 19 რ. ქისლევი 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ. № 5,	11,32 დილ.
	სამგზ. № 9,	11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის.	№ 19,	3.17 დღ.
„	„ № 17,	8.19 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ. № 6,	9.51 დილ.
„	საფ. № 4,	8.46 საღ.
საქარისკენ	სამგზ. № 4.8,	12.15 საღ.
„	№ 61.	8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„	№ 63.4,	48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ. № 10,	8.38 დილ.
„	საფ. № 6,	7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ. № 20,	7.57 დილ.
„	სამგზ. № 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	საფ. № 8,	10 26 დილ.
„	ჩქარ. № 5,	10 20 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ. № 3***,	7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა გამეგის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"